ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 253 (19694) ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 4 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

„ᲜᲔᲠᲒᲔᲑᲘ“—ᲩᲔᲠᲜᲝᲑᲘᲚᲘᲡ

ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ: ᲫᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ IV ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲛᲔᲪᲘᲠᲝᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ საკვები ბაზის განმტკიცება, თითოეული ჰექტარი მინდვრის უკუგების გადიდება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა. მივაღწიოთ მემცენარეობის პროდუქციის, უწინარეს ყოვლისა, მარცვლეული და საკვები კულტურების მყარ წარმოებას ნიშნავს მტკიცე ნაბიჯი გადავდგათ მეცხოველეობის სტაბილური განვითარების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემოსავლის ზრდის, მათი ეკონომიკის გაღონიერების გზაზე. ამავე დროს, როგორც ანალიზმა ცხადყო, დარგი ბოლო წლებში სათანადო ტემპით არ ვითარდება, სრულად ვერ ვიყენებთ მასში არსებულ რესურსებსა და შესაძლებლობებს.

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საკვებწარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის, მეცხოველეობის დაჩქარებული განვითარების უზრუნველყოფისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები იდგა 1 ნოემბრის გამართული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის ყურადღების ცენტრში.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. ი. პატიაშვილის მოხსენება.

პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. კ. ონისოვეცი.

ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ ᲓᲦᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲐ

ᲑᲝᲚᲝ წლების მანძილზე რესპუბლიკის საკვებწარმოებაში დაგროვდა ბევრი მწვავე, გადასაჭრელი პრობლემა. საკითხი კი, ამ დროს, პრინციპული და უაღრესად მნიშვნელოვანია.

საკვები ბაზის განმტკიცებას მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო თავის დროზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმმა, რომელმაც დასახა ამოცანა საქართველო გადაგვექცია მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად, უზრუნველგვყო გარდატეხა რესპუბლიკის სასუროსთო ბალანსის ფორმირებაში, სამეურნეო აზროვნებაში, დამკვიდრებულ ტრადიციებში. მის გადაწყვეტილებებს დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი ცხოველმყოფელი ძალა და აქტუალურობა.

დადებით მაგალითად მოიყვანეს ის, რომ ხორცის წარმოება გასულ 10 წელიწადში გაიზარდა 1,5-ჯერ, რძისა — 21 პროცენტით, კვერცხისა — თითქმის ერთიორად. შესაბამისად გაიზარდა სახელმწიფო შესყიდვის ოღენობაც. საკუთარი წარმოების ხორცის ხვედრითი წილი მის საერთო მოხმარებაში რესპუბლიკაში გაიზარდა 46-დან 52 პროცენტამდე, რძისა—22-დან 26 პროცენტამდე. რესპუბლიკა პრაქტიკულად მთლიანად უზრუნველყოფს თავს ფრინველის ხორცითა და კვერცხით. ცვლილებები შეინიშნება თვით მეცხოველეობისადმი დამოკიდებულებაშიც. აქ მოვიდნენ ახალი ადამიანები, პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები უფრო ღრმად წვდებიან დარგის პრობლემებს.

მიუხედავად ამისა, სიტუაცია უაღრესად მძიმეა. მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით რესპუბლიკის მეცხოველეობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს. ეს ეხება, მაგალითად, ერთ ძროხის რძის საშუალო ნაწველს. 1975 წელთან შედარებით შემცირდა ნამატის მიღების მაჩვენებელი, მეთერმეტე ხუთწლედის განმავლობაში იკლო ძროხების რაოდენობამ. მთლიანად ჩაშლილია ჯიშთსანაშენე მუშაობა.

არ არის ეფექტიანი კაპიტალდაბანდებათა უკუგებაც. ბევრ რაიონში კვლავ დაბალია ზოოტექნიკური და ვეტერინარული მომსახურების დონე. ხელმშვებულია აღრიცხვა და ანგარიშმგებლობა, ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი სერიოზული ბოროტმოქმედების ფაქტები.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ მრავალი ნაკლის მიზეზი საკვები ბაზის სერიოზული ჩამორჩენის ბრალია. მომწიფდა საჭიროება, რომ საფუძვლიანად გადავსინჯოთ ამ მხრივ საქართველოს სსრ სახაგრომრეწვისა და მისი სამსახურების, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, მრავალი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს მუშაობის სტილი, ფორმა და მეთოდები. საიმისოდ, რომ 1990 წლისათვის 25 პროცენტით გავზარდოთ, როგორც გათვალისწინებულია, მეცხოველეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება, დაგვჭირდება 1,6 მილიონი ტონა საკვები ერთეული და 1,2 მილიონ ტონაზე მეტი კონცენტრირებული საკვები. მაშასადამე, საჭირო ხდება გადაუდებელი დამატებითი ღონისძიებანი. ამ მიზნით რესპუბლიკის სახაგრომრეწვამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დასამტკიცებლად შეიტანა საკვებწარმოების სპეციალური პროგრამა. მისი რეალიზაციის ძირითადი მიმართულებანია ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია, საკვების უუარესი ეფექტიანი კაპიტალდაბანდებათა უკუგებაც. ბევრ რაიონში კვლავ დაბალია ზოოტექნიკური და ვეტერინარული მომსახურების დონე. ხელმშვებულია აღრიცხვა და ანგარიშმგებლობა, ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი სერიოზული ბოროტმოქმედების ფაქტები.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ მრავალი ნაკლის მიზეზი საკვები ბაზის სერიოზული ჩამორჩენის ბრალია. მომწიფდა საჭიროება, რომ საფუძვლიანად გადავსინჯოთ ამ მხრივ საქართველოს სსრ სახაგრომრეწვისა და მისი სამსახურების, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, მრავალი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს მუშაობის სტილი, ფორმა და მეთოდები. საიმისოდ, რომ 1990 წლისათვის 25 პროცენტით გავზარდოთ, როგორც გათვალისწინებულია, მეცხოველეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება, დაგვჭირდება 1,6 მილიონი ტონა საკვები ერთეული და 1,2 მილიონ ტონაზე მეტი კონცენტრირებული საკვები. მაშასადამე, საჭირო ხდება გადაუდებელი დამატებითი ღონისძიებანი. ამ მიზნით რესპუბლიკის სახაგრომრეწვამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დასამტკიცებლად შეიტანა საკვებწარმოების სპეციალური პროგრამა. მისი რეალიზაციის ძირითადი მიმართულებანია ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია, საკვების უუათიანობისა და ხარისხის მკვეთრი გადიდების, მთელი მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესება, დისციპლინის განმტკიცება.

მეცხოველეობისა და, კერძოდ, საკვებწარმოების განვითარება რესპუბლიკაში შეიძლება განხორციელდეს და უნდა ხორციელდებოდეს კიდეც არა სოფლის მეურნეობის სხვა დარგების ხარჯზე, არამედ მათ პარალელურად. ამასთან ერთადერთი რეალური გზა არის სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნის შესაბამისად გავზარდოთ აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოო პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობა, და უწინარეს ყოვლისა გავადიდოთ მიწის ნაყოფიერება.

რესპუბლიკაში ჯერჯერობით ნაწილობრივ იყენებენ როგორც მინდვრის, ისე მდელო-სამთვრების საკვებწარმოების რეზერვებს. მინდვრის სამუშაოების დროს საკვებწარმოების საკითხები ხშირად უკანა პლანზე რჩება.

ასეთ დამოკიდებულებას შედეგად მოჰყვება უწინარეს ყოვლისა მცირე მოსავლიანობა. ბევრ მეურნეობაში არხეინად ურიგდებიან იმას, რომ ყოველი ჰექტარი საკვები კულტურების ნათესები ორსამჯერ ნაკლებ უკუგებას იძლევიან, ვიდრე სხვა კულტურებისა. მაგალითად, ონის რაიონში მრავალწლოვანი ბალახების ჰექტარ ფართობზე იღებენ 18 ცენტნერ თივას, ბორჯომის რაიონში —19 ცენტნერს, წალკის რაიონში — 20 ცენტნერს. კიდევ უფრო ცუდად გვაქვს საქმე ერთწლოვან ბალახებთან დაკავშირებით.

უნდა გარდაიქმნათ, მოითხოვა პლენუმმა. საჭიროა მიწისა და სამეურნეო აზროვნების ინტენსიფიკაცია. უწინარეს ყოვლისა ეს ეხება სამარცვლე მეურნეობას. ამოცანა კომპლექსურად უნდა გადავჭრათ: გავზარდოთ საკვები კულტურების მოსავლიანობა, გამოვთავისუფლოთ ფართობი სამარცვლე კულტურებისათვის, რათა 1990 წლისათვის მთლიანი წარმოება მეთერთმეტე ხუთწლედის საშუალო წლიურ მაჩვენებელთან შედარებით გავზარდოთ 42 პროცენტით, მათ შორის უხვცილოვანი მარცვლეულისა — 3,5-ჯერ. ეს საშუალებას მოგვცემს პრაქტიკულად გავაორკეცოთ საფურაჟე მარცვლის გამოყოფა.

სერიოზული ყურადღება უნდა დავუთმოთ ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვას. მთლიანად ინტენსიური მინდვრების საერთო ფართობმა წელს შეადგინა მხოლოდ 48 ათასი ჰექტარი.

იქ, სადაც ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას უთმობენ, კარგ შედეგებს იღებენ. მაგალითად, გორის, მცხეთის, აბაშის, ხობის, ცხაკაიის რაიონებში.

მაგრამ, მთლიანად ეს მუშაობა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნებს.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘᲡ „ᲜᲔᲠᲒᲔᲑᲘ“ (ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ Ნ. ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲐᲫᲔ) ᲪᲐᲛᲔᲢᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲣᲚᲓᲐ. ᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲐᲡ ᲩᲕᲘᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲙᲣᲗᲮᲔᲑᲨᲘ ᲘᲪᲔᲜᲘᲡᲮᲔᲑᲘᲗ. ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲒᲘᲖᲘᲘᲗ. ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ.

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ: „ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲩᲠᲜᲝᲑᲘᲚᲘᲡ“ — ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲘᲪᲮᲐ.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ: ᲛᲦᲔᲠᲘᲡ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘᲡ ᲡᲝᲚᲘᲡᲢᲘ ᲚᲔᲠᲐ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ; ᲛᲐᲚᲔ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ.

Ⓜ. ᲦᲕᲘᲜᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ Ⓘ. ᲨᲚᲐᲛᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).



ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ: ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲢᲝ).

Ⓜ. Ⓢ. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ Ⓝ. Ⓓ. ᲢᲘᲕᲐᲠᲘ

3 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში მიიღო ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ნ. დ. ტივარი, მიულოცა მას დანიშვნა და გამოთქვა რწმენა, რომ იგი თავის კოლეგებთან ერთად ამ პოსტზეც ატარებს ორი ქვეყნის თანამშრომლობის, ურთიერთგაგების, ნდობისა და მეგობრობის ესტაფეტას, რომ ყველაფერი, რაც ამ თვალსაზრისით ათწლეულების მანძილზე შეიქმნა, შენარჩუნებული იქნება და გამრავლდება.

რეიკიავიკის შემდეგ შექმნილ საერთაშორისო სიტუაციაში კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ინდოეთის ხელმძღვანელობის თავისთავადი დამოუკიდებელი კურსი, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის მაღალი დონე და ღრმა შინაარსი, პოლიტიკური დიალოგისა და ურთიერთხარდაჭერის, სოციალურ-ეკონომიკური კავშირურთიერთობის დინამიზმი და ნაყოფიერება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოეს მიღწევათა საფუძველზე, ფართო კულტურული გაცვლა. ეს შეესაბამება არა მარტო ორი დიდი ხალხის, არამედ მთელი მსოფლიო გაერთიანების ინტერესებსაც — როგორც მშვიდობიანი თანაარსებობის მაგალითი, როგორც გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, საყოველთაო უშიშროების, ყველა სახელმწიფოს თანასწორუფლებიანობისა და მათი პროგრესის ფაქტორი.

მ. ს. გორბაჩოვმა კვლავ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირისათვის ინდოეთთან ურთიერთობა პრინციპული საკითხია, მას უდიდესი დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, იგი არ იქვემდებარება არავითარ მერყეობასა და გარეშე ზემოქმედებას. საბჭოთა ხელმძღვანელობა თავის საერთაშორისო პოლიტიკაში არ გადადგამს არც ერთ ნაბიჯს, რომელიც ზიანს მიაყენებდა ინდოეთის რეალურ ინტერესებს.

საგანგებო ყურადღება დაეთმო ორმხრივი ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირურთიერთობის პერსპექტივებს. ახალი ფორმებისა და შესაძლებლობის გამოყენებით და მსოფლიოს ზოგადი ეკონომიკური კითარების გათვალისწინებით. მხარეები შეეხნენ ზოგიერთ მესამე ქვეყანასთან ურთიერთობის პრობლემებს. ნ. დ. ტივარიმ გააცნო მ. ს. გორბაჩოვს მიუმხრობლობის მოძრაობის საქმიანობა, რომლის როლსაც დიდად აფასებენ საბჭოთა კავშირში.

(ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ).

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲨᲘ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ

3 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ მოსკოვიდან ბუქარესტს გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი, დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 42-ე სხდომაში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ნ. ზაიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ვ. ტალიზინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. კ. ანტონოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გ. ი. მარჩუკი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ბ. ი. არისტოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ბ. ლოგინოვი.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჰ. ა. ალიევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. კ. ლიგაჩოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ი. დოლგიხმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

* * *

იმავე დღეს საბჭოთა დელეგაცია ნ. ი. რიჟკოვის მეთაურობით ბუქარესტში ჩავიდა. აეროპორტში მას დახვდნენ რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური აღმასკომის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ო. დესკილესკუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური აღმასკომის წევრობის კანდიდატი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე შ. ბირლია, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური აღმასკომის წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ანდრეი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური აღმასკომის წევრობის კანდიდატი, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. უხსუ, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე დ. ანკეცა, სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში ე. მ. ტიაჟელნიკოვი.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ: ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ გარდაქმნა შეგნების გარდაქმნით უნდა იწყებოდეს. მაგრამ განახორციელო გარდატეხა გუნება-განწყობილებაში — ეს ორდი ნიშნავს უბრალოდ განუახლო ადამიანს ცოდნა. ეს ნიშნავს ასწავლო იაზროვნონ და იმოქმედონ სახელმწიფოებრივად, განუვითარო მათ შემოქმედებითი საწყისი, ნოვატორული მიდგომა საქმისადმი, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს ძირეულად გაუმჯობესდეს იდეოლოგიური და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, რომელიც, როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, მაქსიმალურად უნდა დაუკავშირდეს დღევანდელობის მთავარი ამოცანის გადაწყვეტას — ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის დაჩქარებას. ამ დიდმნიშვნელოვან პროცესში წამყვანი როლი ეკუთვნით მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებს, რომლებიც მოწოდებული არიან ამზადონ პროპაგანდისტი მუშაკები, რომლებზეც გადამწყვეტწილად არის დამოკიდებული პოლიტიკური განათლების მთელი სისტემის გარდაქმნა.

იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტები ახალ პირობებში, როგორ წარმართონ და სრულყონ თავიანთი მუშაობა „1986-87 სასწავლო წელს მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ორგანიზაციის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, გიმმართა საფუძვლიანი სჯა-ბაასი „მრგვალ მაგიდასთან“ საუბრისას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტში. შეხვედრა მოეწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებისა და ეურნალ „პოლიტიჩესკოე სამოობრაზოვანიეს“ რედაქციის რეკომენდაციით.

დისკუსიაში მონაწილეობდნენ ეურნალ „პოლიტიჩესკოე სამოობრაზოვანიეს“ მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე ვ. პეჩენევი, სარედაქციო კოლეგიის წევრი ვ. სუროვი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის რექტორი, ქვეყნის მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ტოლპიგო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, პარტიის მთელი რიგი საქალაქო და რაიონული კომიტეტების, თბილისის საწარმოთა პარტიული კომიტეტების მდივნები, მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის წარმომადგენლები და მსმენელები.

მ. ტოლპიგო, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის რექტორი: — ამჟამად ჩვენს ქვეყანაში 65 მილიონი კაცია ჩაბმული პარტიულ სწავლებაში. რას მოწმობს ეს? უწინარეს ყოველისა იმას, თუ რამდენად გაიზარდა მოთხოვნები ძალთა გამოყენების ყოველ სფეროში თითოეული პროპაგანდისტის პირადი თვისებებისადმი. წარმატებით ახორციელებდნენ პარტიის წინასწარდასახულობებს, იყენენ ნამდვილი შემოქმედნი და, ჭეშმარიტი ბატონ-პატრონნი — ეს შეუძლიათ მხოლოდ პოლიტიკურად მოწიფულ, მტკიცე მრწამსის ადამიანებს. ჩაუნერგონ პროპაგანდისტებს ადამიანთა დარწმუნების უნარი — ეს უაღრესად კეთილშობილი და საპატიო საქმე აქვთ მინდობილი მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებს. და ისინი უნდა იწრაფოდნენ, რომ ყოველ მსმენელს ესმოდეს ამჟამინდელი მომენტის სიმწვავე, გრძნობდეს თავის წილნაყრობას ის უდიდეს საქმესთან, რომელსაც პარტიამ მოჰკიდა ხელი, ანუ ნამდვილად აქტიურებდეს ადამიანის ფაქტორს. ვთქვათ გულახდილად: უმაღლესი პოლიტიკური სკოლის ახლანდელი მდგომარეობა ჯერ კიდევ ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს. ამას მოწმობს ის გარემოება, რომ ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში ჩაცხრა ინტერესი მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებისადმი. ამის მიზეზები მრავლად არის. ერთი მათგანია ფუჭსიტყვაობა, რომელიც პრაქტიკას არ ეყრდნობა.

შ. პაპიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის რექტორი: — დღეს არ შეიძლება და შეუწყნარებელიც არის წყვეტდე უნივერსიტეტების მუშაობის ძირეული გარდაქმნის საკითხებს კადრების შერჩევის, გახანგრძლივებისა და აღზრდის საჭირბოროტო პრობლემებისაგან განცალკევებით. დროა მივუდგეთ მათ ახალი, უფრო მკაცრი საწყაოთი. მაშინ შეიცვლება ადამიანთა დამოკიდებულებაც საკუთარი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისადმი. ამ თვალსაზრისით რესპუბლიკის ხელმძღვანელი კადრების პოლიტიკური მომზადების საქმეში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის სულ უფრო მზარდი მნიშვნელობას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენს მსმენელებს შორის 300-მდე პასუხისმგებელი საბჭოთა მუშაკი, 600-ზე მეტი პარტიული და კომკავშირული მუშაკი და ამდენივე სამეურნეო ხელმძღვანელია. უეჭველია, თეორიული სწავლების ეს ფორმა უნდა შევინარჩუნოთ, ოღონდ — ახლანდელი მომენტის თავისებურებათა შესაბამისად.

ვ. იუნკოვსკაია, პარტიის ქ. თბილისის ოქტომბრის რაიკომის მეორე მდივანი: — არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ გვაქვს ყრილობის უაღრესად ზუსტი მითითება: წარვმართოთ ჩვენი მუშაობა ისე, რომ იგი მჭიდროდ უკავშირდებოდეს ყოველი კოლექტივის პრაქტიკულ საქმეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იდეოლოგიური, პროპაგანდისტული საშუალებებით შეგუწყოთ ხელი ადამიანთა შრომითი აქტიურობის ზრდას.

მ. ტოლპიგო: — ჩვენი მუშაობის შედეგიანობას სწორედ ის უნდა გამოხატავდეს, რომ მსმენელები ხედავდნენ სიტყვისა და საქმის უშუალო კავშირს. ამასთან, გააზრებული, კონკრეტული საქმის, მოქმედების, საქციელისას—სწორედ ასე ყალიბდება ჩემი აზრით, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია. სწავლისადმი სწორედ ასეთი მიდგომა დაგვეხმარება საბოლოოდ დაეძლიოთ არსებითი სხვაობა სწავლასა და კოლექტივების ყოველდღიურ საზრუნავს შორის, თავიდან ავიცილოთ ფორმალიზმი მუშაობაში.

დ. კინკოძე, საოლქო-ეროვნული განათლების რესპუბლიკური სახლის გამგე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე: — საიდან გაჩნდა ფორმალიზმი მარქსისტულ-ლენინურ სწავლებაში? ძნელია ამ კითხვას მარტივად უპასუხო. და მაინც, საკუთარი გამოცდილების პროპაგანდისტებთან და მსმენელებთან საუბრების საფუძველზე დავასკვენი, რომ ჩვენ ძალზე გვიშლის ხელს მუშაობაში ორგანიზაციული გადამლაშება, პრიმიტივიზმი,

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

70

ᲮᲝᲒᲘ

ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ მთელ მანძილზე ჩამორჩენას მწვავედ განიცდიდნენ ხობელი მეჩაიეები. მიღებულმა რადიკალურმა ზომებმა, მორდომებამ, მოუდლელმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. მეჩაიეებმა მოკრიფეს და მრეწველობას გადასამუშავებლად ჩაბარეს 11.555 ტონა ნედლეული, გეგმა კი — 11.105 ტონას ითვალისწინებდა.

— ხობი კოლხეთის ცენტრია, — თქვა საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პირველმა მდივანმა ზ. ერქვანიამ, — აქაურ მიწებს გვალვის დროს მორწყვა სჭირდება, ხშირი წვიმების დროს ჩაის პლანტაციებს უჭირს. ზედმეტ ტენს ვერ იტანს. წლეულს ორივე შემთხვევაში გაუჭირდათ მეჩაიეებს გეგმის შესრულება, მაგრამ დამატებითი ღონისძიების განხორციელებამ, შრომითი რესურსების მაქსიმალურმა გამოყენებამ დადებითი გავლენა იქონია და წლიური გეგმა ჯერ კიდევ 14 ოქტომბერს გადაჭარბებით შესრულდა.

განსაკუთრებით თავი ისახელეს სოჭიკოს „ლენინის, ახალი ხიბულის კიროვის, ძველი ხიბულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობების მეჩაიეებმა (თავმჯდომარეები — ვ. ბუკია, შ. კემულარია, ნ. თუთბერიძე), ნოჯიხევის, თორნის „განთიადის“, ხობის „კოლხეთისა“ და ხიბულის მეურნეობებმა (დირექტორები — გ. ოსაია, გ. ბუკია, დ. ქირია, ვ. გურგენია.).

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

ᲕᲐᲚ

საკვებწარმოება: ძირეული გარდაქმნის კურსი

(დასასრული)

ორატორებმა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა გაფართოვდეს ინტენსიური ნათესების ფართობი, მკვეთრად გაიზარდოს კადრების პასუხისმგებლობა, გაუჭირბედეს მათი მატერიალური სტიმულირება.

დროა გადავსინჯოთ სილოსიანობის დამოკიდებულება. სუსტად ვიყენებთ სასილოსე კულტურების მოვლა-მოყვანისა და სილოსის დამზადების მოწინავე ტექნოლოგიას.

ეს ეხება სხვა საკვებ კულტურებსაც. მაგალითად, სათივე ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების, სასილოსე და მწვანე საკვებისათვის განკუთვნილი სიმინდის წარმოებას. ადიგენის, ამბროლაურის, საგარეჯოს, ხობის რაიონების ხელმძღვანელები რეაგირებას არ ახდენენ იმაზე, რომ 1980 წელთან შედარებით შემცირდა სათივე ერთწლოვანი ბალახების წარმოება. კლებულობს სათივე მრავალწლოვანი ბალახების წარმოება ასპინძის, ახალციხის, ყვარლის, კასპის, ხაშურის რაიონებში, სასილოსე და მწვანე საკვებისათვის განკუთვნილი სიმინდისა ვანის, გარდაბნის, მცხეთის, თერჯოლის რაიონებში. საკვები ძირხვენებისა—ჰამეტის, ბოლნისის, გურჯაანის, მარნეულის რაიონებში. პარტიის რაიკომებში შეიქმნა სოფლის მეურნეობის განყოფილებები, არიან დარგობრივი მდივნები, ფუნქციონირებენ აგროსამრეწველო გაერთიანებები, მაჩვენებელები კი უარესდება. და არავის არ სურს თავი შეიწუხოს იმისათვის, რომ ჩასწვდეს რა ხდება, არ აყენებს არავითარ წინადადებებს, როგორც ჩანს, მიზეზი დისციპლინის დაბალი დონეა.

ანალოგიური მდგომარეობაა საკვებ ძირხვენებთან დაკავშირებითაც. წალკის რაიონში ძირხვენების მოსავლიანობა ოთხჯერ ნაკლებია, ვიდრე მეზობელ ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებში. დადგა დრო, როცა პარტიულმა კომიტეტებმა სერიოზულად უნდა მოჰკიდონონ სამეურნეო ხელმძღვანელებს სახნავ-სათესის გამოყენებისადმი ესოდენ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის.

პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საკვებწარმოების ინტენსიფიკაცია სახვარმრეწველის შესაბამისმა სამსახურებმა უნდა დაიწყონ ელემენტარული დისციპლინისა და წესრიგის დამყარებით, პასუხისმგებლობის გადიდებით, უფრო დაინტერესებული დამოკიდებულებით. მნიშვნელოვნად უნდა გაკტიურდნენ პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები, კონტროლი დაუწესონ საკვების წარმოების ყველა ეტაპს.

ამავე დროს, აღინიშნა, რომ უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ ინტენსიფიკაციის სხვა ფაქტორები, გავზარდოთ მიწათმოქმედების საერთო კულტურა დარგში. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება სათესლე მასალას. სამეცნიერო-საწარმო გაერთიანება „თავთავის“ შექმნით საქმის ვითარება მეთესლეობაში, უთუოდ, უკეთესობისაკენ შეიცვალა. მაგრამ დროა მოვაგვაროთ სრული მოცულობით თესლის წარმოება, განსაკუთრებული ყურადღება მივაპყროთ საზოგადოებრივ მეურნეობებთან კოოპერაციის გაფართოებას. გარდა ამისა, გაერთიანებამ უნდა გააძლიეროს გავლენა მეურნეობებზე, უფრო მკაცრად ადევნოს თვალი, რათა არ დაიფესოს ხარისხშეუმოწმებელი და უკონდიციო თესლი, საკვები კულტურების ის ჯიშები, რომლებიც გამოუსადეგარია ადგილობრივი პირობებისათვის.

მეტ ყურადღებასა და მზრუნველობას საჭიროებს საკვები სავარგულების მელიორაცია, ახალი მიწების ათვისება.

ახალი მიწების მელიორირებისა და ათვისების პრობლემა უაღრესად მჭიდროდ უკავშირდება კოლხეთის დაბლობის ათვისებას, რის შესახებაც დაწვრილებით ითქვა ორი წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მელიორაციის საკითხებისადმი მიძღვნილ პლენუმზე. დამტკიცდა მოქმედების შესაბამისი პროგრამაც, მაგრამ რამდენადმე საგრძნობ შედეგებს ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ.

სათესი ფართობის მწვავე დეფიციტის პირობებში ბევრი რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებისა და მეურნეობის პოზიცია გაუგებარია, თქვეს პლენუმის მონაწილეებმა. ზრდად დიდი დაგვიანებით გამოიყოფა ფართობი, ფაქტობრივად ნიავდება გამოყოფილი სახსრები.

ამაში საკმაო ბრალი მიუძღვის საქართველოს მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტს, რომელიც ხშირად ადგენს არასრულფასოვან ტექნიკურ დოკუმენტაციას, არ იცავს სათანადო ფორმალობას ბუნების დაცვის სამსახურების მიმართ. უკვე მეხუთე წელია ინსტიტუტი ადგენს რესპუბლიკის მიწის კადასტრს, საგვამო ორგანოს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მათ საწარმოო ბრიგადებს კი დღემდე არა აქვთ რეალური საორგანიზაციო გეგმა.

ხოლოდური რეზერვები გვაქვს ბუნებრივი საკვები სავარგულების რაციონალურ გამოყენებაშიც, რომლებიც იძლევა სასაძოვრე საკვების დაახლოებით 85 პროცენტს და თივის დაახლოებით 50 პროცენტს. სათიბებისა და საძოვრების ძირეული გაუმჯობესება საარსებო მნიშვნელობის საკითხია მთის რეგიონების ეკონომიკისათვის, მაგრამ ამ სამუშაოების წარმოების გეგმა ოთხი პროცენტის დონეზეა შესრულებული: პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები კი სათანადო რეაგირებას არ ახდენენ ამ სავალალო სურათს.

ძირადღირებულ მოწყობილობას ხშირად იყენებენ მხოლოდ ნამჯის დაქუცმაცებისა და დათოვქვისათვის, ცდება საკვების გამდიდრებისა და სრულფასოვანი საკვების ნარევის დამზადების ხაზები.

უწინდებურად საკმარისად არ არის წარმოდგენილი რესპუბლიკის საკვები ნაკვეთის სტრუქტურაში მრავალწლოვანი ბალახები. 1990 წლისათვის მათი ნათესები უნდა გავზარდოთ 200 ათას ჰექტარამდე, ხვედრითი წილი კი — 60 პროცენტამდე და შევამციროთ ერთწლოვანი საკვები კულტურების ფართობი. სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაპყრონ მრავალწლოვანი ბალახების მოსავლის აღების ჯეროვანობის გადიდებას. ეს დიდი რეზერვია, რაც საშუალებას მოგვცემს არა მარტო გავზარდოთ საკვების რაოდენობა, არამედ მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ მისი ხარისხიც.

იგი შეიცავს თივის დამზადების ზრდის მთავარ წყაროს, რაც ესოდენ ესაჭიროება რესპუბლიკის მეცხოველეობას. ამჟამად მიღწეული მიჯნა — 600-640 ათასი ტონა — აშკარად არ არის საკმარისი. უბრალო გამოანგარიშება ცხადყოფს, რომ არსებულ ფართობებზე ოპტიმალური მოსავლის მიღების შემთხვევაში რესპუბლიკაში ყოველწლიურად შესაძლებელი იქნება დამატებით დამზადდეს 80-100 ათასი ტონა თივა.

საკვების ყუათიანობა, აღნიშნეს ორატორებმა, მისი ხარისხიცაა. ცენტნერი რძის წარმოებისათვის შარშან რესპუბლიკაში დიახარჯა 1,68 ცენტნერი საკვები ერთეული, გეგმით გათვალისწინებული 1,61 ცენტნერის ნაცვლად. მსგავლფეხა რქიანი პირუტყვის ცენტნერ წონამატებაზე — 16,2 ცენტნერი გეგმით გათვალისწინებული 12,6 ცენტნერის ნაცვლად, ღორის ხორცისა — 11,5 ცენტნერი ცხრა ცენტნერის ნაცვლად. მნიშვნელოვანია კონცენტრირებული საკვების დანახარჯები.

ურიგდებიან ფორმალიზმს, ხშირად მოჩვენებითობასაც. განსაკუთრებით შეუწყნარებელია, რომ აგროქიმიური და სავეტერინარო ლაბორატორიები ხელოვნურად ზრდიან საკვების ყუათიანობასა და სხვა თვისებრივ მაჩვენებლებს, რასაც, საბოლოო ანგარიშით, მოჰყავს წამატები. ამას მოწმობს საკვების შარშანდელი ინვენტარიზაციაც რესპუბლიკის ბევრ რაიონში. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დამზადებული საკვების ხარისხზე არასწორი დასკვნების გაცემის შემთხვევები იყო, მაგალითად, თელავის, ხაშურის, სიღნაღის სავეტერინარო ლაბორატორიებში.

მოიყვანეს მაგალითები, როცა ცალკეული მეურნეობები საერთოდ არ იყენებენ საკვების ანალიზების შედეგებს მათი ბალანსის განსაზღვრისას, თუმცა ამ მიზნისათვის საკმაო სახსრები იხარჯება. ასეთი შემთხვევები იყო შარშან მცხეთის რაიონის მუხრანის მებოსტნეობის, წილკნისა და ძალისის საბჭოთა მეურნეობებში, კასპის რაიონის ახალქალაქის საბჭოთა მეურნეობაში, თელავის რაიონში.

პლენუმის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მრავალგზის მოთხოვნების მიუხედავად, სახაგრომრეწვის შესაბამისმა სამსახურებმა, რაიონულმა და საქალაქო აგროსამრეწველო გაერთიანებებმა წელსაც ვერ გააძლიერეს კონტროლი საკვების დამზადების დროს მისი ხარისხისადმი. საჭიროა ერთიანი სისტემა, მისი შექმნა კი გაჭირდება, სანამ არსებული ლაბორატორიები ექვემდებარებიან სახაგრომრეწვის სხვადასხვა სამსახურს.

ბევრი ნაკლია საკვების დაცვა-შენახვის საქმეშიც.

ცუდად არის საქმე საკვებსაცავებით მეურნეობათა უზრუნველყოფის დარგშიც. სწორედ ამით უნდა დავიწყოთ ყოველი ფერმის რეკონსტრუქცია, ავამენოთ ახალი მეცხოველეობის სადგომები.

ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დროა გადაჭრით გადავიდეთ საკვების დამზადების პროგრესულ ტექნოლოგიებზე. დიდი ყურადღება დაეთმო კომბინირებულ საკვებს, რომლის ხარისხიც ხშირად მომხმარებელთა საყვედურს იწვევს. ურიგდებიან პროცესების ტექნოლოგიის მოთხოვნილებისაგან გადახრის ფაქტებს, არის ზოგიერთი სხვა ნაკლიც, ნეგატიური მოვლენები. პლენუმმა მიუთითა რესპუბლიკის პუპრომრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობას, რომ საჭიროა ძირითადი ყურადღება მიაპყროს კომბინირებული საკვების ხარისხის გაუმჯობესებას.

გამოითქვა მოთხოვნა გაძლიერდეს ადგილობრივი ნედლეულის დამატებითი წყაროების გამოძებნისათვის მუშაობა. აღინიშნა, რომ კომბინირებული საკვების მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა უკანასკნელი წლების მანძილზე მკვეთრად შეამცირა ეფექტიანობა. გეგმებში სათანადოდ არ არის გათვალისწინებული პრობლემური საკითხები, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა კვალიფიციური კადრების აღზრდას.

პლენუმის მონაწილეებმა თქვეს, რომ დიდ იმედებს ამყარებენ ცოლოტების გამოყენებაზე. გააქტიურდა გამოკვლევები ამ მიმართულებით საქართველოს ზოოტექნიკურ-საველტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში, ფიზიკური და ორგანული ქიმიის, მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტებში, აგრეთვე თბილისის უნივერსიტეტში.

მაგრამ ეს სამუშაოები რესპუბლიკაში სათანადოდ ვერ განვითარდა და დარგის ეფექტიანობაზე მათი რეალური ზემოქმედების შესახებ მსჯელობა ნაადრევია. მით უმეტეს, აღნიშნეს ორატორებმა, ამის გამო მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს პირდაპირ ჩვენ თვალწინ არსებული რეზერვების გამოყენება. ერთი მათგანია საკვები ნარჩენები. აშკარა პერსპექტიულობისა და სარგებლობის მიუხედავად, ეს საქმე ვერა და ვერ მოვაგვარეთ. ყოველწლიურად არ სრულდება ნარჩენების შეგროვების დადგენილი დავალებანი თბილისში, რუსთავში, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში. ეს ხომ დიდი სამრეწველო ცენტრები და საკურორტო რეგიონებია, რომელთა მოთხოვნილებაც მეცხოველეობის პროდუქტებზე სწრაფად იზრდება.

პრაქტიკულად ჩაფუშულია მოსახლეობაში სურსათის ნარჩენების შეგროვებისათვის მუშაობა. დიდი შესაძლებლობები იკარგება საზოგადოებრივი კვების, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებზე. დიდძალი ნარჩენები იყრება სანაგვეზე, ზოგ-ზოგგები კი ამ დროს პირად სარგებლობას ნახულობენ.

პრობლემის გადაჭრა, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია სახაგრომრეწვზე, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებზე, და ბოლოს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებზე, რომლებისთვისაც ყოველივე, რაც დაკავშირებულია მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან, ცხოვრების დონის ამაღლებასთან, უპირველესი, ღვიძლი საქმე, განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს.

მომხსენებელმა და ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საკვებწარმოებაში არსებული საქმის ვითარება არ უნდა განვიხილოთ საბოლოო შედეგებისაგან, და მაშასადამე, მთლიანად მეცხოველეობის მდგომარეობისაგან მოწყვეტით.

განსაკუთრებით შემაშფოთებელი ვითარება შეიქმნა სარძევე ჭესაქონლეობაში. ცხრა თვეში ყოველმა მეოთხე მეურნეობამ დამზადების გეგმა დააკლო პროდუქცია. დავალება ვერ შეასრულა ლანჩხუთის, მახარაძის, გორის, საგარეჯოს რაიონების მეურნეობათა უმრავლესობამ. ეს მოწმობს რომ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების ხელმძღვანელებმა, პარტიის რაიკომების შესაბამისმა მდივნებმა სრულიად უყურადღებოდ მიატოვეს ეს მნიშვნელოვანი საკითხები.

საქართველო ერთადერთი რესპუბლიკაა, სადაც წელს შეამცირდა რძის დამზადება. შემაშფოთებელია სექტემბერში რძის წარმოების მდგომარეობა. ამბროლაურის, გურჯაანის, მარნეულის, საჩხერის, სამტრედიის რაიონების პარტიული კომიტეტები კონკრეტულად უნდა გაერკვნენ, რატომ იმუშავეს ასე ცუდად ამ მიმართულებით შესაბამისმა სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა.

რესპუბლიკის ბევრ რაიონში არ ზრუნავენ რძის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. არის უყაირათობის, დაუდევრობის, სხვადასხვა მანიპულაციის შემთხვევები. კონტროლი არა აქვს დაწესებული პროდუქციის აღრიცხვას, ფართოდ არის პრაქტიკაში გავრცელებული ხბორების გამოსაკვებად რძის გადახარჯვა.

მოუხდელი რძის შემცველს, აღინიშნა გამოსვლებში, რესპუბლიკაში საკმარისად არ იყენებენ, მის საწარმოო სიმძლავრეებს მრავალი წელია ვერ ითვისებენ. ბევრი მეურნეობის ხელმძღვანელები არ ინერნენ დაინტერესებს. ამ დროს კი რესპუბლიკაში ხბორების გამოსაკვებად ყოველწლიურად იხარჯება საშუალოდ დაახლოებით 40 ათასი ტონა მოუხდელი რძე.

მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მატების მიღება. თუ მას სამუალოდ რესპუბლიკაში თუნდაც 10 სულით გავზრდით, გამოანგარიშებით შეიძლება მივიღოთ 3 ათას ტონამდე ხორცის რესურსების მატება.

დარგში დაყენებული არ არის ეკონომიკური სამსახური, ხელმიშვებულია ეკონომიკური მუშაობა. შეშფოთებას იწვევს ცენტნერი ხორცის თვითღირებულების გადიდების ტენდენცია, რამაც თავი იჩინა რესპუბლიკის ბევრ მეურნეობაში. პროდუქციის დიდ თვითღირებულებას ხომ მნიშვნელოვანი ზარალი მოყვება. ეს ბევრად არის დაკავშირებული საკვების დიდ დანახარჯებთანაც, რაც ბოლო ათის წლის განმავლობაში ერთიორად და მეტად გადიდდა.

დიდ ზარალს იწვევს პირუტყვის გაწყდომა და მოდასამეურნეო დაკვლა, რასაც ხორცის რესურსების სერიოზული დანაკარგები მოჰყვება. იძულებითი დაკვლით მალავენ გაწყდომის, დატაცების, დაკლული პირუტყვის ჩამოწერისამი კონტროლის უქონლობის ფაქტებს. დგება ყალბი აქტები. მიმდინარე წელს ასეთი ფაქტები გამოვლინდა სამტრედიის, წალენჯიხის, ასპინძის, ახალქალაქის რაიონებში.

ხაზგასმით აღინიშნა: საჭიროა ღრმად გავაანალიზოთ რატომ მოხდა, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა წელს უკვე დაკლეს საკუთარი მოხმარებისათვის და ბაზრებში გაყიდეს თითქმის იმდენივე გოქი, რამდენიც მიჰყიდეს სახელმწიფოს. კიდევ უფრო უარესია ეს შეფარდება გურჯაანის, ზესტაფონის, მახარაძის რაიონებში.

ბევრი ნეგატიური მოვლენაა საკვების ხარჯვაშიც, მისი საბოლოო უკუგების უზრუნველყოფაშიც. ზრარად გაიგონებთ ჩიოვლს, კომბინირებული საკვები არ გვყოფნისო. ამ დროს კი ყოველწლიურად მათი გადახარჯვა ხდება.

მარტო შარშან რესპუბლიკაში ხორცისა და რძის წარმოებისათვის ნორმის გადაჭარბებით დაიხარჯა 163 ათასი ტონა საკვები ერთეული კომბინირებული საკვები და დიდძალი საფურაჟე მარცვალი. ამ მოვლენის მიზეზებს ღრმად აქვს ზოგჯერ ფესვები გადგშული, რაც ცხადყო მთელ რიგ მეურნეობებში საკონტროლო წელამ.

კერძოდ, ყვარლის რაიონის სოფელ გავაზისა და ორჯონიკიძის რაიონის სოფელ საქასრის კოლმეურნეობებში პირუტყვის ნორმირებული კვების დროს რძის წარმოება შესაბამისად გაიზარდა 27 და 29 პროცენტით. საგარეჯოს რაიონის უდაბნოს საბჭოთა მეურნეობაში თითოეულ ძროხაზე ნაწილი 7 პროცენტით გაიზარდა, რძის ცხიმიანობის მაჩვენებელი კი 14 პროცენტით. ამასთან, თუ წინათ კილოგრამი რძის წარმოებაზე აქ იხარჯებოდა 1,5 საკვები ერთეული, საკონტროლო წელის დროს დაიხარჯა 1,1 საკვები ერთეული. ცხინვალის რაიონის სოფელ ვეზვის კოლმეურნეობაში რძის წარმოებისა და ცხიმიანობის მაჩვენებლები 10 პროცენტით გადიდდა, ცალკეული ჯგუფის ძროხების მიხედვით კი საშუალო ნაწილის გადიდებამ დაახლოებით 50 პროცენტი შეადგინა, არადა, რესპუბლიკაში რძის გამოსავლიანობის თუნდაც 10 პროცენტით გადიდება ნიშნავს ოცდაათი ათასი ტონით პროდუქციის მატებას, რაც თითქმის შეესაბამება ისეთი ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებებს, როგორიც თბილისია.

პლენუმმა კატეგორიულად მოითხოვა დამყარდეს წესრიგი, ელემენტარული აღრიცხვა, აღიკვეთოს დატაცება, არაკეთილსინდისიერება, უყაირათობა.

საკმაო რაოდენობის რძით არ არიან უზრუნველყოფილი რესპუბლიკის საბავშვო დაწესებულებები, საავადმყოფოები, სხვა ორგანიზაციები. ამ დროს კი ვიღაც უსინდისოდ და ურცხვად იტაცებს რესურსებს, მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის ზრუნავს. ამ დროს იფლანგება უფრო მნიშვნელოვანი ცნებები, ისეთი, როგორიც არის პატიოსნება, წესიერება კეთილშობილება. მცირე დარღვევები ჩვეულად იქცევა ხოლმე, იწვევს დანაშაულობებს.

დროა ვიზრუნოთ მშრომელთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებისათვისაც. მაგრამ ამისათვის საჭიროა, თავის ადგილზე იყვნენ მეურნეობების ხელმძღვანელებიც, პარტიული ორგანიზაციები, მათი მდგომეობა, აგროსამრეწველო გაერთიანებანი, საბჭოების აღმასკომები, პარტიის რაიონული კომიტეტები.

პლენუმის მონაწილეებმა მკაცრად გააკრიტიკეს ისინი, ვინც დაკარგა სინდის-ნამუსი, უსირცხვილოდ აფეთყურებს ხელს სახელმწიფოს ჯიბეში, იტაცებს სახელმწიფო რესურსებს, ძირს უთხრის რესპუბლიკის მეურნეობათა ეკონომიკას.

ორატორთა გამოსვლებში დიდი ადგილი დაეთმო აგრარულ მეცნიერებას, რომელსაც ეკუთვნის მნიშვნელოვანი სიტყვა თვისებრივად ახალ საფეხურზე საკვებწარმოების გადაყვანაში. მაგრამ, თავად მეცნიერები ჯერ კიდევ არ იჩენენ ჯეროვან აქტიურობას, შემოქმედებითს დაინტერესებას საკვებწარმოების საკითხებში. მაგალითად, სამეცნიერო, საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური დაწესებულებებს, უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივები, რომლებიც მთის მიწათმოქმედების პრობლემებზე მუშაობენ, ცალ-ცალკე მოქმედებენ. ზოგჯერ ერთ-ერთი მიზეზია ისიც, თუ რატომ ვერ გადალახავენ ერთმანეთს - აგროსამრეწველო გაერთიანებანი - სრულფასოვანი ბიბლიოთეკა, ორგანიზაციული ბიბლიოთეკა, ინფორმაციის მიწოდება, განსაკუთრებით მეცხოველეობასა და საკვებწარმოებაში, სადაც ახლა საჭიროა არასტანდარტული, არაშაბლონური გადაწყვეტები. თითოეული მეცხოველეობა საკვებდამამზადებელი უნდა ჩასწვდეს ახალ მოთხოვნათა არსს, მიმდინარე ცვლილებების ხასიათს, გაერკვეს, თუ რა ადგილი განეკუთვნება გარდაქმნაში. უამისოდ ფოხს ვერ გავალთ.

სამწუხაროა, იმ სპეციალისტთა კვალიფიკაცია, რომლებიც წარმართავენ და აკონტროლებენ საკვების დამზადებას, უაღრესად დაბალია. მოიკოჭლებს მათი მომზადებაც უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, სადაც, როგორც წესი, არადამაკმაყოფილებლად წარმოებს სპეციალისტების — მეცხოველეების, ზოოტექნიკოსების და ვეტერინარი ექიმების მომზადება. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე საკვებწარმოებისა და მემბიდვრეობის აგრონომიერთა მომზადების პროფესიულ დონეს. სპეციალისტის დიპლომს რომ იღებენ, ხშირად ვერც კი ერკვევიან ინტენსიური ტექნოლოგიების არსში, ბრიგადული იჯარის ბრინციპებში, მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების თანამედროვე მიღწევებში. დადგა დრო, ძირეულად დარდაქმნათ სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესი, გადავსინჯოთ ძირითადი საგნების პროგრამები, სანმაუშო გავხადოთ სასწავლო-საცდელი მეურნეობები.

პლენუმმა რესპუბლიკის სახაგრომრეწვის, მისი დარგობრივი სამმართველოების, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების ხელმძღვანელთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ მათ უფრო აქტიურად, კონკრეტულად და საგნობრივად მოჰკიდონ ხელი სამეურნეო ანგარიშის, კოლექტიური იჯარის, ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა შეიქმნას აგროსამრეწველო კომიტეტის მუშაობის სწორი სტილი. დიდი პასუხისმგებლობა, დამოუკიდებლობა უნდა გამოიჩინონ თავმჯდომარეების მოადგილეებმა, სამმართველოების უფროსებმა, უფრო სრულად აგონ პასუხი მინდობილი უნნებისათვის. საჭიროა, რომ კომიტეტის ჩამოყალიბების კვალობაზე იზრდებოდეს კადრები, ივსებოდეს მათი რეზერვი.

და, რა თქმა უნდა, გარდაქმნა უნდა შეეხოს უკლებლივ ყველა პარტიულ ორგანიზაციასა და პარტიულ ორგანოს, განსაკუთრებით ადგილებზე. ეს საკითხები დიდ ადგილებზეა საჭიროეს. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების შექმნასთან დაკავშირებით პარტიულ კომიტეტებს უდიდესი შესაძლებლობები გაუჩნდათ თავიანთი მუშაობის პოლიტიკური მიმართულების გაძლიერებისათვის. იყო პოლიტიკური ორსრული — ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, ხედავდე ყველა ნაკლს, იყო ყველაზე რთულ უბნებზე.

აგროსამრეწველო კომპლექსის მმართველობითი რგოლები უფრო აქტიურად უნდა თანამშრომლობდნენ პარტიული ორგანოების აპარატებთან. ამავე დროს, ხშირია შემთხვევები, როცა მეცხოველეობისა და საკვებწარმოების საგგამო საკითხებსაც კი რაიკომებში არ განიხილავენ ან თუ განიხილავენ — დიდი დაგვიანებით. მათ საერთოდ მხოლოდ მაშინ იხსენებენ, როცა უკვე დგება დიდი პრობლემები, იქმნება საგანგებო ვითარება. ძირეულად უნდა შეეცვალოთ ასეთი სტილი, მუშაობისადმი ასეთი დამოკიდებულება.

„ბრგვალ მაგიდასთან“ საუბარი საქმიან, კონსტრუქციულ ვითარებაში მიმდინარეობდა. საჭირბოროტო პრობლემების განხილვის დროს მთელი რიგი წინადადებები გამოითქვა სასწავლო პროცესის სტრუქტურის რეორგანიზაციის, მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის, ჩვენი ქვეყნის მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების როლისა და ავტორიტეტის გაზრდის შესახებ, იმ გამოცდილების შესაბამისად, რომელიც, კერძოდ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტმა შეიძინა.

(საკინფორმი).

ᲒᲐᲕᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲗ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

საკვები კონვეიერის ორგანიზაცია რესპუბლიკის საკვებწარმოების შემდგომი სრულყოფის გადამწყვეტი ფაქტორია, აღინიშნა პლენუმზე. სამწუხაროდ, მიმდინარე წელსაც ვერ შეეჭმენთან საკუთარი წარმოების საკვებით რესპუბლიკის მეცხოველეობის უზრუნველყოფისათვის საყოველთაო სახალხო ზრუნვის ატმოსფერო. ზოგიერთი პარტიული კომიტეტი ამავე დროს პრინციპად შეფასებას არ აძლევს იმ ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, რომელთა მიზეზითაც ცდებიან ადამიანები და ექმენაკა, იკარგება საკვები რესურსები.

რესპუბლიკის სახაგრომრეწვმა, რაიონულმა და საქალაქო აგროსამრეწველო გაერთიანებებმა ვერ მიაღწიეს საგრძნობ ძვრებს საკვების დამზადების მიმდინარეობაში. ნელი ტემპი უგერგილობის, საკვებდამამზადებელი ტექნიკის ცუდი ვამოყენების შედეგია.

რაიონული და რესპუბლიკური ორგანოების ზოგიერთი ხელმძღვანელი ჯერ კიდევ ზოზინობს, იჩენს არათანამიმდევრულობას. ისინი მეტ ენერგიას ახმარენ სხვადასხვა თათბირის, სემინარის მოწყობას, ვიდრე საქმის კონკრეტულ ორგანიზაციას, ცდილობენ დაშვებული ჩამორჩენა ან გეგმების ჩაფუშვა ახსნან განსაკუთრებით ძნელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები. ეს უვარგისი პრაქტიკაა. უნდა ვისწავლოთ, რომ ამინდის ჭირვეულობას დავუპირისპიროთ ორგანიზებულობა, გერგილიანობა, მეურნის თადარიგიანობა.

არის სხვა მაგალითებიც, როცა მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული. 1980 წელს შეიქმნა ბორჯომის საკვებმომპოვებელი საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც ეკუთვნილი მიწების ნაწილი გადასცა რაიონის ბევრმა მეურნეობამ. დაიხარჯა დიდი სახსრები მათი გაუმჯობესებისათვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. საკუთარი წარმოების საკმაო რაოდენობის საკვებით საზოგადოებრივი მეცხოველეობის უზრუნველყოფა კი მაინც ვერ მოხერხდა. პირიქით, ეს მაჩვენებელი რაიონში ბევრად გაუარესდა. გაიზარდა პირუტყვის გაწყდომა და იძულებითი დაკვლა, გაუარესდა ყველა საწარმოო-ეკონომიკური მაჩვენებელი. ამჟამად საკვებმომპოვებელი საბჭოთა მეურნეობის ბაზაზე შეიქმნა ჩვეულებრივი მეცხოველეობის მეურნეობა.

ანდა მეორე მაგალითი. არაერთი გადაწყვეტილება ყოფილა მიღებული ყიზლარის ზამთრის საძოვრების შესახებ, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ რესპუბლიკის მთელი რიგი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. სათანადო უკუგება კი არ არის. უდიდეს კაპიტალდაბანდებათა მიუხედავად არადამაკმაყოფილებლად წარმოებს მუშაობა კეთილმოწყობისათვის, უხეშად ირღვევა ცხვრის სულადობის, ძოვების ნორმები, ისევაც მწირი საკვების მარაგი ხმარდება კერძო პირების კუთვნილი ცხვრის გამოკვებას.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რამდენად ბევრი რამ არის დამოკიდებული პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებზე, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებზე, საკადრო და სხვა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაზე. დღეს სოფელს სჭირდება ახალი ტიპის, ღრმა ცოდნით აღჭურვილი, გერგილიანი, ინიციატივიანი, პარტიისა და ხალხის წინაშე მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ხელმძღვანელები. ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლას ესაჭიროება კონკრეტულობა, ფართო საზოგადოებრივი საჯაროობა, მართვაში დემოკრატიული საწყისების გაძლიერება. პარტიულმა ორგანოებმა თანამიმდევრულად უნდა შექმნან ასეთი ატმოსფერო, რათა ყველაფერში ბოლომდე გაერკვნენ, ჩასწვდნენ ამა თუ იმ მოვლენის წყაროებს.

პლენუმმა გაამახვილა ყურადღება შრომითი კოლექტივების, პირველადი პარტორგანიზაციების გაკტიურების, საკოლმეურნეო კრებების როლის გადიდების, ბრიგადულ იჯარაზე გადასვლის საკითხებზე. ეს სახალხო მეურნეობაში თვითმმართველობის განვითარების უმნიშვნელოვანესი საფუძველია. სწორედ ბრიგადაში ერთიანდება ორგანულად მშრომელთა ეკონომიკური, ზნეობრივი და პოლიტიკური ინტერესები.

სახაგრომრეწვის მონაცემებით, მეცხოველეობაში საწარმოო ქვეგანაყოფების ნახევარზე მეტი გადაყვანილია კოლექტიურ იჯარაზე. მაგრამ ბევრ მეურნეობაში განზრახ ამახინჯებენ ამ მონაცემებს, ფორმალურად უდგებიან საქმეს. ახმეტის რაიონში, მაგალითად, ანგარიშების მიხედვით თუ ვამსჯელებთ, მეცხოველეობის ქვეგანაყოფების 60 პროცენტია გადაყვანილი სამეურნეოანგარიშებრივ მეთოდზე, სინამდვილეში კი, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ 25 პროცენტი გადაუყვანიათ, ასევეა სურათია საგარეჯოს, ლენინგორის, ცხინვალის, ზუგდიდის, სხვა რაიონებში. ბევრგან კოლექტიური იჯარა მხოლოდ ფიქცია: სხვაგვარად ვერ აიხსნება ის, რომ სამეურნეოანგარიშიან ბრიგადებზე პროდუქციისა ნაკლები მოდის, ვიდრე ხელფასის ფონდი.

მხოლოდ დმანისისა და ქობულეთის რაიონების მეურნეობებშია ეს მუშაობა სწორ ეკონომიკურ საფუძველზე დამყარებული. ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი ხელმძღვანელი თავად უშლის ხელს კოლექტიური იჯარის გაფართოებას. ზოგჯერ საბოტაჟს უწევს თვით გარდაქმნის პროცესს. ამაზეზელზე დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ ამ საკითხებს ონნის, ასპინძის, ბოგდანოვკისა და სხვა რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, სადაც საერთოდ არავითარი მუშაობა არ გაუწევიათ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების კოლექტიური ფორმების დანერგვისათვის. დაიშალა ზოგიერთი საიჯარო კოლექტივი ქარელის, ამბროლაურის, წალენჯიხის, გარდაბნის, საგარეჯოს, გეგეჭკორისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

ამავე დროს კი წინ უნდა ვიაროთ — დავნერგოთ გამჭოლი იჯარა, სამე

თბილისის გარნიზონის უფროსის ბრძანება № 25
1986 წლის 24 ოქტომბერი
ქ. თბილისი.

1986 წლის 7 ნოემბერს თბილისის გარნიზონის ჯარების პარადის შესახებ

[illegible] 1986 [illegible] 7 ნოემბერს [illegible] 10 საათზე დანიშნულია თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი. პარადს მიიღებს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი კ. ა. კოჩეტოვი.

პარადის მეთაურობა ნაბრძანები მაქვს მე.

§ 2.

ნაწილების მეთაურებმა გამოგზავნონ მეხზეები და გამოიყვანონ პარადზე ჯარები დამტკიცებული რაოდენობით და დადგენილ დროს.

ტანსაცმლის ფორმა — საზაფხულო, სამწყობრო საპარადო.

§ 3.

სასალუტო-საარტილერიო ჯგუფის უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა ა. ნ. ეუკმა მისცეს საარტილერიო სალუტი ჩემი მითითების შესაბამისად.

§ 4.

გარნიზონის ჯარების დაწყობის და მათი ჩავლის დროს რუსთაველის პროსპექტსა და რესპუბლიკის მოედანზე წესრიგის დაცვის საერთო ხელმძღვანელობას ვავალებ თბილისის გარნიზონის სამხედრო კომენდანტს, პოდპოლკოვნიკ ა. ნ. ჩუფალაშვილს.

თბილისის გარნიზონის უფროსი — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლის პირველი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ა. მაკაშოვი.

თუ ყველას მონდომება არ იქნება...

აქ პარტიული ორგანიზაცია მეცირეიცხოვანია. სამეუურნეო საქმიანობის მასშტაბი კი ვრცელი და ფართო.

გორის რაიონის კარალეთის საკონსერვო ქარხანაში ინტენსიური მუშაობის სეზონი ხლის კრეფის პარალელურად დაიწყო. წლეულს აქაური მეკონსერვეები ასობით ტონა ხილს მიიღებენ და გადაამუშავებენ. ასე რომ, ქარხნის თოთხმეტკაციანმა კომუნისტების რაზმმა ბევრი საქირბოროტო საკითხის მოგვარებაზე უნდა იზრუნოს.

ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, ეს ყველაფერი ითქვა, თუმცა არცთუ სრულად და მიზანმიმართულად.

როგორი უნდა იყოს კომუნისტის აქტიური პოზიცია ახლა, მკვეთრი გარდატეხის სიტუაციაში? შეურიგებლობა ყოველგვარი ნეგატიური მოვლენისადმი, დიდი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, დღენიადაგ ზრუნვა კოლექტივში ჯანსაღი მორალური კლიმატის დამკვიდრებისათვის.

ვერ ვიტყვით, რომ საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის აქ არ ზრუნავდნენ. პარტორგანიზაციის მდივნის თ. გოგინაშვილის მოხსენებაში რელიეფურად აისახა კომუნისტების მიერ ამ მხრივ გაწეული მუშაობა. შარშანდელ პერიოდთან შედარებით შესამჩნევად იკლო უმიზეზო გაცდენა-დაგვიანებამ, თუმცა მისი მთლიანად აღმოფხვრა დღემდე მაინც ვერ მოხერხდა. ამის საილუსტრაციოდ კომუნისტ შ. ადუაშვილის მაგალითიც გამოდგებოდა, რომელიც თავის დროზე თუმცა მკაცრად დასაჯეს შრომის დისციპლინის არაერთგზის დარღვევისათვის, მაგრამ მისი დასჯის ფაქტი ჭკუის სასწავლებლად ვერ გამოადგათ სხვებს. შესაძლოა იმიტომაც, რომ პარტორგანიზაციამ არ განაზოგადა, კონკრეტულ ციფრებად არ აქცია, რას ნიშნავს ქარხნისათვის თითოეული დაკარგული წუთი, მით უმეტეს ახლა, როცა პიკის სეზონია.

იანვარ-სექტემბერში მეკონსერვეებს ურიგოდ არ უმუშავიათ. წლის დასაწყისიდან მილიონ 976 ათასი მანეთის პროდუქციაა რეალიზებული, რაც საგეგმიზე 116 ათასი მანეთით მეტია. ეს უმთავრესად არის საბავშვო კონსერვები, ხილის კომპოტები და წვენები, რომლებზეც მოთხოვნილება ყოველდღიურად იზრდება ახლა, როცა წარმოებს უშეღავათო შეტევა ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. ამას მოწმობს ქარხნის მიერ რვა თვეში მიღებული ზეგეგმითი მოგება — 13 ათასი მანეთი.

როგორია გამოშვებული პროდუქციის ხარისხი? საანგარიშო მოხსენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩინებული. მომხმარებელს იგი მოსწონს და დღემდე არავითარი რეკლამაცია არ არის მიღებული.

ფორმალურად ეს მართლაც ასეა, მაგრამ როგორც კრებაზე გამოსულმა ახალგაზრდა კომუნისტმა მუშამ ქეთინო ტერტერაშვილმა დააზუსტა, იშვიათი როდია ეგრეთ წოდებული შიდასაქარხნო წუნი.

წუნის მიზეზებზე ილაპარაკა მუშამ მარინე ვალიევამაც. მისი აზრით, — და ძნელია არ დაეთანხმო მას, — ამის მიზეზი მუშების ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობებიც არის. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები რომ იცოდეთ, ბუნებრივია, იტყოდეთ ტექნოლოგიური პროცესებიც. ამას დაუმატეთ ცხელი წყლის უქონლობა, სხვა ტექნიკურ-ორგანიზაციული სიძნელეები, რომლებიც გავლენს ახდენს გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე.

სწორი იყო კომუნისტი მუშა ნინო სრესელი, რომელმაც აღნიშნა, რომ საერთო ძალისხმევაა საჭირო, რათა ქარხანა გამართულად მუშაობდეს და არ იყოს მოცდენებიო. ამისათვის კი უნდა იზრუნოს არა მარტო ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა, არამედ თითოეულმა კომუნისტმა, აქტივისტმა.

თქმა არ უნდა, კრებაზე კომუნისტის გამოსვლა საერთო პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობის შემადგენელი ნაწილია. ამიტომ, ბუნებრივია, მძაფრ პოლიტიკურ ყღერადობას იძენს კრიტიკა, თუნდაც იგი ზემდგომი პარტიული ან სამეურნეო ორგანოების მისამართით იყოს გამოთქმული. მაგრამ, როგორც ამ დღეებში გაზეთი „პრავდა“ წერდა, ორატორები როცა ნაკლოვანებებზე მსჯელობენ, ხშირად მზერას „უფროსობას“ მიაპყრობენ ხოლმე და ავიწყდებათ, როდინ ბევრია დამოკიდებული თითოეულ რიგით მუშაზე, თითოეულ კომუნისტზე.

ამიტომაც იყო, რომ პარტორგანიზაციის მდივნის თ. გოგინაშვილის „კრიტიკულმა“ შენიშვნამ იმის თაობაზე, რომ № 2 საამქროში გარეცხილი ქილების სისუფთავის შესამოწმებელი საკონტროლო ნათურა გადამწვარია და ქარხნის დირექცია მისი გამოცვლისათვის არ ზრუნავსო, დამსწრე კომუნისტების მარტოოდენ ღიმილი გამოიწვია. გადამწვარი ნათურის შეცვლა ხომ იოლზე იოლია და განა ღირს ამაზე საჯაროდ და საგანგებოდ ილაპარაკო?!

ახალ ხუთწლეულში გაზრდილი ამოცანების წინაშე დგანან ქარაღეთელი მეკონსერვეები. მალე პროდუქციის წარმოება წელიწადში 6-7 მილიონ პირობით ქილამდე გაიზრდება. ამიტომ უნდა დაჩქარდეს როგორც ახალი ტექნოლოგიური თვითჩამომსმელი ხაზების დამონტაჟება, ისე მუშა სპეციალისტების აღზრდა და ადგილებზე მათი დამკვიდრებისათვის ზრუნვა. აქ კი თავისი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან თითოეულმა კომუნისტმა, აქტივისტმა, კოლექტივის თითოეულმა წევრმა.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სოფელში ყველა მუშაობს...

ნათქვამია, ოჯახის ლაზათი ჭიშკრიდან იწყებაო. სოფელ ჯაფარიძეში ფეხი რომ შევდგით და კოლმეურნეობის კარ-მიდამოს გადავხედეთ, მისი კარგი კოლექტივი, პატრონი და ხელმძღვანელი, საკოლმეურნეო მშენებლობის ორგანიზატორი ნიკოლოზ ყონიაშვილი წარმოგვიდგა თვალწინ. იგი იქ დაგვხვდა, სადაც დღეს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება უნდა გამართულიყო. თუმცა კრება კოლმეურნეობის კი არა, სოფლის საბჭოსთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციისა იყო, მაგრამ გაგონილს საკუთარი ყურით მოსმენა სჯობიაო და კოლმეურნეობის თავმჯდომარემ საჭიროდ ჩათვალა დასწრებოდა ამ კრებას. მისი ვარაუდი სწორი გამოდგა. კრებაზე იმდენი ითქვა კოლმეურნეობის მისამართით, რომ ამას სხვაგან რას გაიგებდა. თვითონაც და სხვებსაც რომ ეგონათ, ამ სოფელს არაფერი აკლიაო, თურმე იმდენი რამ არის კიდევ გასაკეთებელი, ვერც სოფლის საბჭოს აღმასკომი და ვერც კოლმეურნეობის გამგეობა ასე იოლად ვერ აუვა. მომხსენებელმა, პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ი. ხარაშვილმა და მოკამათეებმა მოურიდებლად თქვეს, რომ სოფელს არა აქვს შესაფერისი გზები, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, თბილისის ტელეგადაცემებისათვის სარეტრანსლაციო ანძა, რომლის დამონტაჟებაც წლების განმავლობაში ჭიანურდება, რომ სოფლის ბაგა-ბაღს არა აქვს ცენტრალური გათბობა, შეუფერებელ ბინაშია ამბულატორია და სხვ.

საბჭოს თავმჯდომარემ კ. ყონიაშვილმა ისიც დაუმატა, რომ სოფლის ქუჩებში შეინიშნება ანტისანიტარია, ნაგვის გატანა დღითი დღე შეუძლებელი ხდება და იქნებ ამისთვის კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ გამოგვიყოს სპეციალური ავტომანქანაო.

კრებაზე ხაზი გაესვა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის იმ საკითხებს, რომლებიც კომუნისტებს სკკპ XXVII ყრილობამ დაუსახა. ილაპარაკეს იმ დიდ გარდაქმნათა აუცილებლობაზე, წარმოების ინტენსიფიკაციაზე, დაჩქარების კურსზე, ჩვენი პარტია და თავვრობა რომ სახავენ ამ ეტაპზე, იმაზე, რომ ამას წინ უნდა უძღოდეს ადამიანთა, პირველ რიგში კი კომუნისტთა ფსიქოლოგიური გარდაქმნა.

კომუნისტმა შალვა ლეკაშვილმა კრიტიკულად შეაფასა პარტიული ორგანიზაციის მუშაობა: ნაკლებს ვმუშაობდით კომუნისტთა პოლიტიკური თვითგანათლებისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდა კომუნისტებთანო, და მაგალითიც მოიყვანა.

კომუნისტებმა ყურადღება გამახვილეს იმ კურსზე, რომელიც ჩვენს პარტიასა და მთავრობას აქვთ აღებული ღოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. თვით ამ ორგანიზაციის კომუნისტებმა, საბჭოს დეპუტატებმა მოსახლეობას ჩამოართვეს არყის სახდელი მოწყობილობა. დეპუტატებ ი ს, კომუნისტებისა და კომკავშირელების ახსნა-განმარტებითმა მუშამამ და საუბრებმა ნაყოფი გამოიღო: სპირტიანი სასმელების ბევრი მოტრფიალე დაუბრუნდა კოლმეურნეობას, ოჯახს, ამიტომ სოფელს დღესდღეობით არა ჰყავს არც ერთი უქნარა და უმუშევარი. ის კი არა, კოლმეურნეობაში ჩვილ ბავშვთა დედებისაგან შეიქმნა მეკვნესობის სპეციალური ბრიგადა, რომელსაც „პატარძლების ბრიგადას“ ეძახიან. მათთვის შემოღებულია მცირე სამუშაო დღის რეჟიმი.

კომუნისტებმა იმასაც გაუსვეს ხაზი თავიანთ საანგარიშო საარჩევნო კრებაზე, რომ მათი პარტიული ორგანიზაციის რიგები აელა იზრდება. და ეს იმ დროს, როცა სოფლის საბჭოს კოლექტივში, მის აქტივში, დეპუტატთა შორის ბევრია პერსპექტიული ახალგაზრდა, კომკავშირელი თუ რიგითი მშრომელი.

ჯაფარიძელ კომუნისტთა ამ კრებაზე პრობლემების განსჯის იმანაც შეუწყო ხელი, რომ მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს და სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილემ მ. დანელიამ, პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა დ. სავანელმა. კრებაზე გამოსულთა მიერ აღძრული საჭირბოროტო საკითხები აისახა მიღებულ დადგენილებაში.

ვლ. მჯედლიშვილი.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს შევასრულებთ!

კრიტერიუმია მეცნიერების ინტენსიფიკაცია

მეცნიერ მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალი სისტემა მკვიდრდება რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში. დღეს ხელმოწერების ახალ პირობებში უკვე მუშაობს 45-დან 16 სამეცნიერო დაწესებულება. მომდინარე წლის დამლევამდე ისინი მთლიანად გადავლენ სრულყოფილ სისტემაზე. საქინფორმის კორესპონდენტი პ. არჩვაძე შეხვდა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ე. ა. სეხნიაშვილს და სთხოვა მას ესაუბრა მეცნიერთა მატერიალური სტიმულირების სისტემის გარდაქმნის ამოცანებზე, პერსპექტივებზე, რომლებსაც იგი უსახავს სამეცნიერო კოლექტივებს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის.

— დაჩქარების საკითხები მჭიდროდ უკავშირდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის გაძლიერებას, წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის გაფართოებას, — აღნშნა ე. სეხნიაშვილმა.

— ახალი ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც ამასთან დაკავშირებით დგება მეცნიერების წინაშე, ზნრად აფერხებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მართვის არსებული ორგანიზაციული ფორმები. ამ ფორმების უმრავლესობა დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბდა და ბოლო დროს არსებითი ცვლილებები არ განუცდია. სწორედ ეს არის სამეცნიერო დაწესებულებების სტრუქტურისა და მატერიალური სტიმულირების სისტემის გადასინჯვის მთავარი მიზეზი, რომლებიც ახალ პირობებში უფრო მოქნილი უნდა გახდნენ, შეესაბამებოდნენ იმ აუცილებელ მოთხოვნას, რომ ვახალისებდეთ მეცნიერთა შემოქმედებით აზრს, მეცნიერულ ძიებაში ვაბამდეთ უფრო გამოცდილ და ნიჭიერ ძალებს, სწორედ ეს მნიშვნელოვანი კრიტერიუმები აისახა „მეცნიერ მუშაკთა, კონსტრუქტორთა და მრეწველობის ტექნოლოგთა შრომის ანაზღაურების სრულყოფის შესახებ“ დადგენილებაში, რომელიც შარშან ამ საკითხის გამო მიიღეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ.

— როგორია ანაზღაურების სრულყოფის ძირითადი მიმართულებანი და ამასთან დაკავშირებით სტრუქტურული ცვლილებები აკადემიის ინსტიტუტების მუშაობაში?

— უწინარეს ყოვლისა, ინსტიტუტების სტრუქტურაში მრავალრგოლიანი სისტემა (სექტორი, ლაბორატორია, განყოფილება და ა. შ.) შეიცვალა ორრგოლიანი სისტემით. ამით გაიზარდა მუშაკთა დამოუკიდებლობა, სტიმული ეძლევა მათ მიერ ინიციატივის გამოჩენას. გარდა ამისა, ქვეგანყოფების რიცხვის შემცირებას მოჰყვება მართვის გამარტივება კოლექტივის შიგნით, საშუალებას აძლევს ხელმძღვანელობას მთელი ძალები მოიმართოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითად მიმართულებებს. ამ სიახლეს უშუალოდ უკავშირდება სხვა რამეც — ინსტიტუტებში ყველა სამეცნიერო ქვეგანყოფი შექმნილია სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის გათვალისწინებებით. ამ ამოცანების რეალიზაციის შემდეგ ესა თუ ის ქვეგანყოფი შეიძლება დაიშალოს და შეიქმნას სხვა, რომელშიც სპეციალისტები ახალ თემატიკაზე იმუშავებენ.

გარდა ამისა, თუ აქამდე არსებობდა ორი თანამდებობა—უფროსი და უმცროსი მეცნიერი თანამშრომლისა, ახლა ხუთი თანამდებობა შეიქმნა. ამას სტრუქტურა არ გაურთულებია. პირიქით. საქმე ის არის, რომ, თუ წინათ უფროსი და უმცროსი მეცნიერის თანამდებობის დაკავება შეეძლოთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც ჰქონდათ სამეცნიერო ხარისხი, ახლა იგი უნდა ჰქონდეს მხოლოდ ორ ახლად შემოღებულ თანამდებობას — მთავარი და წამყვანი მეცნიერი თანამშრომლისას, დანარჩენ სამზე — უფროს მეცნიერ, მეცნიერ და უმცროს მეცნიერ თანამშრომელზე ეს შეზღუდვა არ ვრცელდება. უფრო მეტიც. ახლა მეცნიერებათა დოქტორს, რომელსაც არ უკავია განყოფილების გამგის თანამდებობა, შეუძლია დამოუკიდებლად გაუძღვეს დიდ მეცნიერულ პრობლემას, ამასთან იმუშაოს მთავარ მეცნიერ თანამშრომლად. ანალოგიურად შემოღებულია წამყვანი მეცნიერი მუშაკის თანამდებობა. მოხსნილია სხვა შეზღუდვაც, რომლის მიხედვითაც მეცნიერი მუშაკის ხელფასი დამოკიდებული იყო სამეცნიერო ხარისხზე. ახლა, თუ მეცნიერი მნიშვნელოვან სტორს, რომელსაც არ უკავია განყოფილების გამგის თანამდებობა, შეუძლია დამოუკიდებლად გაუძღვეს დიდ მეცნიერულ პრობლემას, ამასთან იმუშაოს მთავარ მეცნიერ თანამშრომლად. ანალოგიურად შემოღებულია წამყვანი მეცნიერი მუშაკის თანამდებობა. მოხსნილია სხვა შეზღუდვაც, რომლის მიხედვითაც მეცნიერი მუშაკის ხელფასი დამოკიდებული იყო სამეცნიერო ხარისხზე. ახლა, თუ მეცნიერი მნიშვნელოვან ნტული რაოდენობა. ამავე დროს იზრდება 40-50 წლისა და უხნესი ასაკის მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა. 60-იანი წლებიდან ჩვენი აკადემიის სისტემაში არ ყოფილა 30 წლამდე ასაკის მეცნიერებათა დოქტორი, დღეს კი 40 წლამდე ასაკისა — მხოლოდ ორი დოქტორია. ეს, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა ძალების სუსტი ნაკადია მეცნიერებაში, რაც, ბუნებრივია, არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო დამფიქრებელი. ყოველივე ეს აისახა კიდეც მიღებულ დადგენილებაში. გაიზარდა, კერძოდ, მეცნიერ მუშაკთა მინიმალური ხელფასი. უკვე დიპლომის დაცვის შემდეგ ახალგაზრდას, რომელიც აირჩევს სამეცნიერო ასპარეზს, ენიშნება ხელფასი — 140 მანეთი. დანარჩენი კი დამოკიდებულია მხოლოდ მასზე, მის მონდომებასა და ნიჭზე. ხელფასის გარდა, კარგი მუშაობისათვის გათვალისწინებულია მატერიალური სტიმულირების მთელი რიგი სხვა ფორმებიც.

მნიშვნელოვანია სხვა რამეც. ახალი პირობები ყოველმხრივ უწყობს ხელს, რომ აკადემიის მეცნიერები ჩაებან უმაღლესი სასწავლებლების მუშაობაში შეთავსების პირობებით. ამის შესახებ, სხვათა შორის, ერთხელ კიდევ ითქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამას წინანა გამართულ საერთო კრებაზე. საქმის ასეთი დაყენება უეჭველად დიდ შესაძლებლობას შეუქმნის მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლის ახალგაზრდობის ურთიერთსასარგებლო კონტაქტებს, სამეცნიერო კვლევითის მუშაობაში მათს ფართო ჩაბმას.

— რა უფლებები ენიჭება ახალი მუშაობის პირობებში სამეცნიერო დაწესებულებების ადმინისტრაციას?

— დირექტორის უფლებები ძალზე გაფართოვდა. ახლა, მას საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია დაუნშნოს დანამატი წარმატებით მომუშავე თანამშრომელს ხელფასის 50 პროცენტამდე ოდენობით. და, პირიქით, შეუმციროს ხელფასი ცუდი მუშაობისათვის. გარდა ამისა, დანამატი შეიძლება მიეცეთ ინსტიტუტის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსაც. სიტყვამ მოიტანა და, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების მატერიალური სტიმულირების საკითხი ასე კომპლექსურად პირველად გადაწყვიტა ახლმა დადგენილებამ. მუშაკთა ეს კატეგორია ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სისტემის მნიშვნელოვანი რგოლია. ისინი უშუალოდ ასახმენ ხორცს მეცნიერთა იდეებს. ამიტომ მათი დაინტერესება არ უნდა დაგვავიწყდეს. ადმინისტრაციას-დღეს უფლება აქვს ინჟინერს გაუზარდოს სარგო 30 პროცენტი დანამატის ოდენობით.

— როგორია აკადემიის ინსტიტუტების ახალ პირობებში მუშაობის შედეგები?

— ანაზღაურების ახალ პირობებზე გადასვლისათვის მუშაობის დროს მოეწყო მეცნიერ მუშაკთა აკადემიის ამავე საკითხზე. ამ ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოში, — 70-იანი წლებიდან მოყოლებული, მცირდება 40 წლამდე ასაკის მეცნიერ მუშაკთა როგორც აბსოლუტური, ისე პროცენტული შეფარდება. ეს ამბავი ალბათ ბევრ ადგილზე ასევეა. ეს ფაქტი ნიშნავს, ალბათ,

სიკეთის ოპტიმისტური სიმღერა

როგორც მკითხველს მოეხსენება, ახალ ქართულ მხატვრულ ფილმ „მონანიებაზე“ გაზეთმა „კომუნისტმა“ უკვე გამოაქვეყნა პროფესორ ნიკო ჯავახიშვილის რეცენზია. ხსენებული ფილმის შეძენა იმდენად დიდი მოვლენაა ქართული კინოხელოვნებისა და საერთოდ კულტურის დარგში, რომ „კომუნისტი“ კიდევ არაერთხელ დუბრუნდება ამ თემას. დღეს გთავაზობთ ფილმის რეჟისორთან, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტთან თენგიზ აბულაძესთან ერთად ჟურნალისტ არჩილ გოგელიას საუბარს და მისსავე რეცენზიას „მონანიებაზე“. ამავე ფილმის შესახებ უახლოეს ხანში „კომუნისტი“ დაბეჭდავს პროფესორ ნოდარ კაკაბაძის წერილს.



უილმი „მონანიება“ მოვლენაა ყველა თვალსაზრისით. ასეთია ფართო საზოგადოებრიობის დასკვნა.

ფილმი ხელოვნის ცხოვრების ნაწარმოებია; ასეთ ნამუშევარში ავტორი აქოვს ყველაფერს, რაც კი მას გააჩნია: ფილოსოფიურ და ზნეობრივ პრინციპებს, მოქალაქეობრივ ტემპერამენტსა და სითამამეს, ნიჭსა და უნარს. ადვილი წარმოსადგენია ხელოვნების მდგომარეობა საზოგადოებრივი აზრის მოლოდინში. ახლა მას შეუძლია კმაყოფილი იყოს, რადგანაც „მონანიებას“ არავინ დაუტოვებია გულგრილი. მიუხედავად იმისა, რომ მოსაზრებები ფილმის შესახებ არაერთგვაროვანია, ზოგჯერ დიამეტრიულად საწინააღმდეგოც კი, ერთ რამეში ყველა ერთსულოვანია: თენგიზ აბულაძემ მაღალნიჭიერი ნაწარმოები შექმნა, რომელმაც ააღელვა და დააფიქრა მაყურებელი.

ზემოთ ვახსენეთ ფილმზე რეაქციის მომლოდინე რეჟისორის მდგომარეობა. რა ვიგულისხმეთ ამ წინადადებაში? ახლის, უჩვეულოს, სტერეოტიპის საწინააღმდეგოს, შტამპის უარყოფის პრინციპის არც რეალისტიკაა იოლი, არც, მით უმეტეს, დამკვიდრება. ამ აზრით, „მონანიებას“ უჩვეულო გზა უნდა გაევლო რეჟისორის ლაბორატორიიდან მაყურებლამდე. ეს არც ისეთი მოკლე და ადვილად სავალი გზაა, როგორც ზოგს შეიძლება ეგონოს. ზოგიერთი ტექნიკური თუ ორგანიზაციული ბარიერის გადალახვამი უდიდესი შემწეობა გაუწია ჩვენს თვალწინ მიმდინარე საზოგადოების თვითგანწმენდის, ზნეობრივი გაჯანსაღების და ფსიქოლოგიური გარდაქმნის პროცესმა, დემოკრატიის ფარგლების გაფართოებამ. ის, რაც გუშინ გვეხამუშებოდა და უჩვეულოდ გვეჩვენებოდა, დღეს ნორმალურ და ბუნებრივ მოვლენად აღიქმება; ოღონდ, ნათქვამი ეხება მხოლოდ ხელოვნების ნამდვილ ნიმუშებს და არა სუროგატებს, პატიოსანი შემოქმედის პოზიციას, მის პრინციპულ მოქალაქეობრივ კრედოს და არა სპეკულაციურ დამოკიდებულებას საზოგადოებრიობისათვის უაღრესად მღელვარე და მტკივნეულ თემებზეც კი. ფილმი „მონანიება“ ამ მხრივ ჩვენი პიროვნული და საზოგადოებრივი სინდისის, მოქალაქეობრივი მორალისა და სამეწყინოს თავისებური „დეტექტორია“, რომელიც ჩვენი რეაქციის მიხედვით ავლენს, რას ვფიქრობთ და როგორ ვაანალიზებთ თუნდაც რამდენიმე ათეული წლის წინათ მომხდარ მოვლენებს, რომლებსაც ჭეშმარიტ სოციალისტურ კონცეფციასთან საერთო არა ჰქონდათ რა; ავლენს ჩვენს დამოკიდებულებას არცთუ შორეული წარსულის შეცდომების მიმართაც, რომლებიც ერთდროულად ეხებოდა სოციალურ, ზნეობრივ, წმინდა ადამიანური ურთიერთობებისა და კოლიზიების სფეროს.

ერთიც უდავოა: ჩვენ ამაღლებული, ზეაწეული განწყობით ვტოვებთ ფილმის ნახვის შემდეგ დარბაზს და ვგრძნობთ თანალმობას, თანადგომას ნაწარმოების იდეურ და მხატვრულ პოზიციასთან, ნიჭიერი და პატიოსანი ხელოვნის მრწამსთან, რომელიც ჩვენსკენ ისწრაფვის გაშლილი ხელებით და გვთხოვს მეტ ყურადღებასა და თვითჩაღრმავებას. ზოგჯერ გვავიწყდება, რომ სწორედ ჩვენ, ცალკეული ადამიანები, ვართ საზოგადოება და ჩვენზევეა დამოკიდებული ცხოვრების მართებული თუ უმართებულო მსვლელობა, სწორი თუ არასწორი გადაწყვეტილება, პატიოსნება თუ დემაგოგია, პრინციპულობა თუ უპრინციპობა. აი, ამ მხრივაც კეთილშობილური და კაცმოყვარულია ფილმის ფილოსოფიური და ზნეობრივი პათოსი, რომელიც წინააღმდეგობრივი კონცეფციების, ხასიათების, მიდრეკილებების თავისებური მონაცვლეობის პრინციპზეა აგებული. შემთხვევით არ არის მოხმობილი, თანაც მეტად გამჭვირვალედ და არაორაზროვნად, ბიბლიური სიმბოლოები და სიტუაციები. ოღონდ, ჩვენ წინათ გაეკრბოდით კეთილისა და ბოროტის, პუმანურისა და მიზანდროპულის ამგვარ დაპირისპირებას, რადგანაც მოვლენების, კონკრეტული ეპოქის ამგვარი ინტერპრეტაცია სოციალისტური საზოგადოებისათვის სრულიად შეუფერებელი გვეგონა. ერთდროულად ფილმი იბრძვის ეგრეთ წოდებული ნახევარსიმართლის თეორიის წინააღმდეგ და ამკვიდრებს მორალური მაქსიმალიზმის, სრული და შეუფარავი გულახდილობის პრინციპს. დაუკვირდით: ესეც ჩვენი დროის უახლესი ნიშანდობლივი შტრიხია — სრული საჯაროობა, გულწრფელობა, როგორც ამას მოგვიწოდებს სკკპ XXVII ყრილობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის ისტორიული პლენუმის გადაწყვეტილებები. ასე აირკვა და გაიაზრა ჩვენი საზოგადოების განვითარების ამგამინდელი სირმისეული პროცესები, ჩვენი საკუთარი მოქალაქეობრივი მაქსიმალიზმის სულისკვეთება ნიჭიერი რეჟისორის ნამუშევრამ.

ფილმი ბევრ, ძალზე ბევრ კითხვას ბადებს, რომელთა პასუხი, რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, მაინც არასრული და მიახლოებითი იქნება. ამიტომ მკითხველისათვის საინტერესო და საჭირბოროტო შეკითხვებით ისევ ფილმის რეჟისორს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს **თენგიზ აბულაძეს** მივმართეთ.

▲

— ბატონო თენგიზ, ჩემსავით ბევრ მაყურებელს აინტერესებს, რას ნიშნავს აფიშებზე გამოსახული წარწერა, რომლის მიხედვით „მონანიება“ — კინოტრილოგიის ერთ-ერთი ნაწილია. ეს კითხვა მით უფრო ბუნებრივია, რომ ჭირს კარგა ხნის წინათ ნახახი ფილმების საერთო ფილოსოფიური და ზნეობრივი კრედოს დაძებნა...

— ტრილოგიის ნაწილებს ერთმანეთთან მრავალი იდეა აკავშირებს, ყველაზე ზოგადი კი ზნეობრივი პრობლემატიკაა. ამჯერად, თუ გნებავთ, ერთ-ერთს გამოვყოფ — ეს გახლავთ „უდანაშაულო დამნაშავის“ ხვედრი.

— შემთხვევა მომეცა წამეკითხა „მონანიების“ სცენარი ბევრად ადრე, ვიდრე ფილმის გადაღებას შეუდგებოდით. ვნახე ფილმი და განცვიფრებული დავრჩი იმ სხვაობით, რომელიც მათ შორის არსებობს...

— თქვენ, ალბათ, ლიტერატურულ სცენარს გულისხმობთ.

— დიახ. რამ გამოიწვია ეს მეტამორფოზები?

— მოგეხსენებათ, ფორმა და სტილი გაბლავთ სული ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოებისა. ჩვენი ფილმის საკმაოდ უჩვეულო ფორმა და სტილი (ელემენტები სიურეალიზმისა, აბსურდისა, გროტესკისა, ფანტასმაგორიისა...) გზადაგზა ყალიბდებოდა. ბევრ რამეს ინტუიცია გვკარნახობდა, გადაღების პროცესში. ამის ახსნა ახლა თითქმის შეუძლებელია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს რაიმე თვითმიზნური აბრეშანი გვქონოდა. პირიქით, ფილმის ყველა მხატვრული ელემენტი გაპირობებულია მისი შინაარსით და მდგომარეობით, ურომლისოდაც სრულად ვერ გამოიხატებოდა ფილმის სათქმელი.

— ესე იგი, სცენარიდან გადახრა გარდაუვალია?

— გარდაუვალია... სცენარისტი, ასე თუ ისე, ყოველთვის „გაიწრება“ რეჟისორისგან.

— თუ რეჟისორი თვითონაა სცენარის ავტორი?

— მაშინაც. და ეს სავსებით ლოგიკური მოვლენაა. აფორიზმულად თუ ვიტყვით, რეჟისურა სცენარის დაძლევის პროცესია. უნდა შეიქმნას ახალი ნაწარმოები. თუ სცენარს ფილმში ზუსტად მისდიე, რაგინდ კარგი სცენარიც უნდა იყოს, ფილმი მშრალი და შებოჭილი გამოვა.

— **ბოლოს და ბოლოს, როგორ შეიძლება განმარტოს კარგი სცენარი?**

— როგორც კარგი საფუძველი ფილმისთვის და არა როგორც ფილმი. ფილმი სხვა ფენომენია...

— **ფილმი, უპირველეს ყოვლისა, რეჟისურაა, მაგრამ რეჟისორის განსაკუთრებულ როლზე რომ ვლაპარაკობთ, ეს რა თქმა უნდა, არ აკნინებს ფილმზე მომუშავე შემოქმედებითი კოლექტივის დამსახურებას.**

— არავითარ შემთხვევაში! შემოქმედებითი კოლექტივი რეჟისორის მარჯვენა ხელია. თანამოაზრეთა — სცენარისტის, ოპერატორის, მხატვრის, კომპოზიტორის, მსახიობების, მონტაჟზე მომუშავე სპეციალისტების და სხვათა გულმოდგინე შრომის გარეშე წარმოუდგენელია მეტ ნაკლებად შთამბეჭდავი ფილმის შექმნა. ვსარგებლობ რა შემთხვევით, თავს დაბლა ვხრი კინოგადამღები ჯგუფის ყველა წევრის წინაშე და დიდ მადლობას მოვახსენებ მათ. არ შემძლია გულთბილად არ მოვიხსენიო რეჟისორი ნელი ქუთათელაძე, რომელმაც ფასდაუდებელი შრომა გასწია მსახიობებთან მუშაობისას. მიკერძოებაში ნუ ჩამომართმევთ ჩემი მოწაფის — სცენარის ავტორისა და მუსიკალური გამფორმებლის — ნანა ჯანელიძის გამოყოფის სურვილს, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ფილმის შექმნაში. მადლობას მოვახსენებ აგრეთვე ჯგუფის ერთ, დღემდე ანონიმურ წევრს, სცენარის ერთ-ერთ თანაავტორს, ჩვენს შესანიშნავ მწერალს ნოდარ წულეისკირს.

— **რამ განაპირობა ნოდარ წულეისკირის ანონიმურობა?**

— ნოდართან დიდი ხნის შემოქმედებითი თანამეგობრობა მაკავშირებს. ერთად დავწერეთ სცენარები „თუთარჩელა“ და „ფიროსმანი“, და მიუხედავად იმისა, რომ ორივე სცენარი საკმაოდ საინტერესო იყო, მათი განხორციელება თავის დროზე, სხვადასხვა მიზეზისა გამო, ვერ მოხერხდა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ქუჩაში შემთხვევით შევხვდი ნოდარს, შევეყოვნდით, გავაბით საუბარი. ნოდარმა სხვათა შორის გაიხსენა ფაქტი, რომელიც მოხდა სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში: თურმე ვიღაცამ მეზობლის გვამი საფლავიდან ამოიღო და ჭირისუფალს ღობეზე მიუყუდა. ამ ფაქტმა მომნუსხა. ვერ ამეხსნა, რა უნდა ყოფილიყო ასეთი არაადამიანური სისასტიკის მიზეზი, როგორი გამწარებული უნდა ყოფილიყო კაცი, რომ ასეთი ნაბიჯი გადაედგა... ამ ფაქტმა იმდენად დამაინტერესა, რომ ნოდარს იმწამსვე შევთავაზე, კვლავ ერთად გვემუშავა. მას გაეღიმა და მიპასუხა: ჩვენს თანამშრომლობას კინოში ბედი არ უწერია, და თუ ასე მოგწონს, ეს ამბავი მიჩუქნიაო. ჩვენი შემდგომი ურთიერთობა ასეთი პირობით წარიმართა: სანამ ფილმი არ დამთავრდებოდა, ნოდარი სცენარის ანონიმურ თანაავტორად რჩებოდა. ორივემ მიამტკიცეთ, რომ ასეთი ნაბიჯით ფილმს ავი თვალისაგან გადავარჩენდით.

— **რა პრინციპით არჩევდით ფილმისათვის მსახიობებს, რომელნი მათში არაპროფესიონალი. ამას იმიტომაც გეკითხებით, რომ მაყურებელს უჭირს თქვენს ნამუშევრში პროფესიონალისა და არაპროფესიონალის გარჩევა.**

— არა მგონია, მაყურებელი უფრო კმაყოფილი გამოდიოდეს კინოთეატრიდან იმ ფილმის შემდეგ, რომელშიც ადვილად განასხვავებს პროფესიონალ და არაპროფესიონალ მსახიობებს. თუ გნებავთ, ეს აზრი პრინციპად ჩამოთვალეთ.

— **ფილმმა განსაკუთრებით დაინტერესა ჩვენი ახალგაზრდობა, რომელიც საერთოდ მორალური და ზნეობრივი მაქსიმალიზმით გამოირჩევა. ეს ინტერესი შემთხვევითი არ არის: ახალგაზრდობას სურს იცოდეს, რა არის კარგი, რა არის ცუდი, რას უნდა მიბაძოს და რას — არა, გარდა ამისა, რამდენადაც ახალგაზრდებთან საუბრებიდან ვიცი, ისინი მთლიანად იზიარებენ თქვენეულ პოზიციას ბოროტისა და კეთილის, პატიოსნებისა და სიყალბის, ჭეშმარიტებისა და დემაგოგიის, პიროვნული მთლიანობისა და გაორების საკითხში. მაგრამ იმავე ახალგაზრდების ერთი ნაწილი არ მიიჩნევს თორნაკე არავიძის თვითმკვლელობის მოტივაციას ბოლომდე მართებულად, და არა იმიტომ, რომ ისინი სანტიმენტალურები არიან, არამედ სულ სხვა მიზეზით. ბევრი ახალგაზრდა ფიქრობს: თვითმკვლელობა, ყველაზე ექსტრემალურ სიტუაციაში და უძლიერესი მორალურ-ფსიქოლოგიური სტრესის დროსაც კი, უბრალოდ, სულმოკლეობაა, რომ ასეთი არ უნდა იყოს თანამედროვე ახალგაზრდა...**

— თავს ბედნიერად ვთვლი, როდესაც ვრწმუნდები, რომ ახალგაზრდებმა სწორად გაიგეს ჩვენი სათქმელი და გულთან ახლოს მიიტანეს წინა თაობათა სატკივარი. მათი აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია ხომ ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ჩვენი საზოგადოების განწმენდისა „ვარლამიზმის“ რეციდივებისაგან.

ისე ნუ გამიგებთ, თითქოს თვითმკვლელობა ჩიხიდან თავის დახსნის ერთადერთ გზად მესახებოდეს. იმისათვის, რომ თორნიკე არავიძეს — შეურყვნელი ზნეობის ჯერ კიდევ ზრდადაუსრულებელ პიროვნებას — უნარი შესწევდეს ბოროტებასთან შებრძოლების უფრო აქტიური ფორმების გამოყენებისა, ჩემი აზრით, მას უთუოდ უნდა ჰყავდეს კონკრეტული იდეალი, პირადი სულიერი მოძღვარი, რომლის თვისებებიც განაპირობებენ ახალგაზრდის მერ საზოგადოებრივ მოვლენათა სწორ აღქმას და შესაბამისი ბრძოლისუნარიანობის გამომუშავებას. სტრესულ მდგომარეობაში მყოფი თორნიკეს გარშემო არ აღმოჩნდა ძალა, რომელიც მას თაობათა კონფლიქტის გადაჭრაში უფრო ოპტიმისტურ გზაზე დააყენებდა. ჩემი აზრით, სულმოკლეობა სულმოკლეობა დააბრალო ყმაწვილს, რომელმაც ვერ იგუა ცოდვილი ოჯახის მემკვიდრის როლი და საკუთარი სიცოცხლის ფასად აიძულა ზნედაცემული მამა მონანიების გზაზე შემდგარიყო. ამავე დროს იგი გარდაუვალი მსხვერპლია, თავისი უღირსი წინაპრების უმგვანოობას შეწირული.

— **ახალგაზრდობისაგან განსხვავებით, რომელიც ფილმს უაღრესად საჭიროდ და დროულად მიიჩნევს, მაყურებელთა ერთი კატეგორია, უმთავრესად უფროს თაობაში, ფიქრობს, რომ, ფილმის მხატვრული ღირსებების მიუხედავად, იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტისმეტად „გაშიშვლებულია“, ზოგის აზრით კი იგი ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდისათვის, წარსულის შეფასებისათვის, შესაძლოა, არც იყოს საჭირო. ერთი სიტყვით, ლაპარაკია სწორედ იმ მაქსიმალიზმზე, შეუფარავ სიმართლეზე და ბოროტების აშკარა მხილებაზე, რაც ასე მოსწონს უფრო ახალგაზრდა თაობის მაყურებელს...**

— მაგ კატეგორიის მაყურებელი, სამწუხაროდ, არა მარტო ფიქრობს, არამედ საკმაოდ აქტიურობს კიდეც თავისი დრომოჭმული „პოზიციის“ დამკვიდრებაში. აკი მიაღწიეს კიდეც, ეკალბარდებით მოეფინათ მაყურებლისკენ ფილმის გზა.

— **იყო დრო, როდესაც მართლმსაჯულების ქალღმერთი — თვალახვეული თემიდა არ ერიდებოდა ვერაგ გამომძიებელთან მენდელსონის „საქორწინო მარშის“ დაკვრას როიალზე. ახლა კი შეხვედრის წარუვალ შეგრძნებას იწვევს. სწორედ ეს არის ყველაზე ღირებული ამ ფილმში: თითქოს ნაცნობი კინოსტილისტიკის ახლებურ გარემოში მოქცევა და ამ გზით სათქმელის მაქსიმალური ძალით გადმოცემა. გავიხსენოთ თუნდაც რკინიგზის სადგურში დახვავებული ვეება მორები, მერქანზე ამოკვეთილი სახელები, ინიციალები, ციფრები. უდაბური, უკაცრიელ, მიუსაფარ გარემოში მოქცეულნი, ისინი სასტიკად ნაწამები ადამიანების ასოციაციას იწვევენ. უცნაური ძალა აქვს ხელოვნებას: ხშირად მასში დასატყული მოვლენები უფრო მოქმედებს ჩვენზე, ვიდრე ცხოვრების რეალიები. ლაპარაკია ნამდვილ ხელოვნებაზე, ნამდვილ კინოზე, ნამდვილ რეჟისორზე... ანდა გავიხსენოთ თვალახვეული თემიდა, რამდენადაც მომხიბლავი და უბიწოა გარეგნულად, იმდენად ამაზრზენია აბსურდადქცეული უზნეობით.**

ფილმში ბევრი პაუზაა, ბევრი ქვეტექსტი, ბევრი გაუმჭვირვალე ეპიზოდი, რომელიც მაყურებლისაგან რეჟისორთან აქტიური თანადგომისა და თანაზიარობის, მასთან ერთად ფიქრისა და განსჯის აუცილებლობას გულისხმობს, რადგანაც ეს არის ფილმი — მხილება, ფილმი—ბრალდება, ფილმი—პრობლემა, ფილმი — დიალოგი, და ბოლოს, ფილმი, რომელიც სიკეთის ოპტიმისტური სხივია. ეს კი, თავის მხრივ, გარკვეულწილად მომზადებულ მაყურებელს მოითხოვს. ფილმის ანალიზის პროცესი არის ზედმიწევნით მტანჯველი, სულიერად უკიდურესად მაწამებელი, მაგრამ ალბათ სხვანაირად არც შეიძლებოდა: ჩვენ უნდა გამოგვევლო, ფილმით მაინც, ბოროტებისა და უწმინდურობის, კარიერისტული ვერაგობისა და ცინიკური დემაგოგიის წრეები, რათა უფრო მეტად გვგრძნო ზნეობრივი კათარზისის სიკეთე და დიდი მანძილი, რომელიც ფილმში აღწერილ მოვლენებს გვაშორებს.

ტოტალიტარიზმი, ერთი რომელიმე თვისების გამო არ არის საზარელი. გვაძრწუნებს თვით ატმოსფერო, რომელიც აბლაბუდასავით შემოხვევია გარს ადამიანებს და უკლავს მათ სამართლიანობის რწმენას. არაფერია ალბათ ქვეყნად იმაზე უარესი, ოღონდ ალალ-მართალი კაცი არარსებულ ცოდვებს ინანებს და ბოროტებას ფარულად ან აშკარად შეწყალებას სთხოვს. გავიხსენოთ ეპიზოდი, სადაც საბოლოოდ აღზევებული, ადამიანებსა და სინდისზე გამარჯვებული ვარლამი მოულოდნელად გამოალაჯებს ბუნაგ-კაბინეტიდან და თვალს შეასწრებს ბაირაღზე გამოსახული მისი პორტრეტის თელვას, ოღონდ, წარბს არ შეიხრის და ერთბაშად თითქოს ქვის მონოლითად იქცევა; თითქმის იმავ წამს ვარლამის გაპრიალებულ ჩექმებთან დაიჩოქებს და საწყალობლად ეხვევა ქალი-სათნოება, უსასოო, მორალურად გატეხილ-დაბნეული, რომელიც სამართალს სთხოვს უსამართლობას, საკეთეს — ბოროტებას, შებრალებას — ულმობელს... ეს არის ტოტალური რეჟიმის გულისამრევი პარადოქსი, როცა თავდაყირა დგება ყოველივე ადამიანური და კანონიერი.

მაგრამ ბოროტება ვერ იარსებებს... სიკეთის გარეშე. ფილმში ბოროტების სიმბოლოებს უპირისპირდება უსაზღვრო პატიოსნება და ღირსების გრძნობა, რომლის ძალიერება ეფსტრემალურ სიტუაციებში სულიერი სიმტკიცით ვლინდება. ეს არის გაბატონებული უსამართლობის დროს წესიერებისა და სამართლიანობის თითქმის ერთადერთი იარაღი, რომელმაც ადრე თუ გვიან უთუოდ უნდა გაიმარჯვოს. მათი დაუნდობელი შებრძოლების სარბიელი უდანაშაულო ადამიანების გვამებით, დატყვევებული ჭეშმარიტებებით, მაგრამ, ამავე დროს, საღი აზრებით იფინება. ამ ბრძოლაში სიკეთემ უნდა გაიღოს საკმაოდ დიდი მსხვერპლი, ვინაიდან ბოროტებისა და პატიოსნების ჭიდილი არასოდეს მშვიდობიანი არ ყოფილა.

ფილმში გაიელის დიდი დრო, ყოველ შემთხვევაში, კოსტიუმების ეფემერული კარნავალი მიგვანიშნებს, რომ ერთი პერიოდი იცვლება მეორით, ერთი კატეგორიის ხალხი ჩამოდის პოლიტიკური სცენიდან და თავის ნაცვლად ტოვებს ეგოიზმითა და მეშჩანობით გულამოჭმულ ნამიერებს, ზნეობრივად არასრულფასოვან ადამიანებს. მიუხედავად საკმაოდ დიდი სხვაობისა, მათს შორის პრინციპული განსხვავება მაინც არ არის: ვარლამისდროინდელი მეთოდების უფრო გვიანდელ პერიოდში გადმოტანა აშკარა ანაქრონიზმად გამოჩნდებოდა და უკლებლივ ყველასათვის საჩინო გახდებოდა. ამიტომ ვარლამის ნაშიერი მოხერხებულად ნიღბავს თავისი პიროვნების ნამდვილ არსს, რაშიც მეშჩანური ყოფაც ეხმარება. გარეგნულად იგი რესპექტაბელური მოქალაქეა: მამის დანატოვარი სასახლის დარი ნაცხოვრისი, აპარტამენტები, შესაფერისი მეუღლე, რომლისთვისაც მყარი პრინციპები არ არსებობს და სწორედ ამ უპრინციპობის გამო შეიძლება ჩაიდინოს ნებისმიერი სისაძაგლე, თუ რაიმე ოდნავ მაინც დაემუქრა მის ინტერესებს; მეგობარ-ამხანაგები, რომლებიც ავაკაცობაში საოცარ სოლიდარობას იჩენენ, რადგან დღეს ბოროტების ქმნაში ერთს სჭირდება მეორე, ხვალ მეორეს დასჭირდება პირველი... ცხოვრების მეშჩანური წესი მხოლოდ გულუბრყვილოთათვის არის უწყინარი და ასატანი. სინამდვილეში იგი სულიერი ეროზიაა, რომელიც არყევს საზოგადოების საძირკველს, მორალურ-ეთიკურ ნორმებს, ხოლო კანონს ისე იყენებს, როგორც თავად უნდა. კანონი კი მარტო მორთლმსაჯულების მსახურთათვის როდია დაწესებული: თუ იგი მკვდარია ან აბუჩად აგდებული, საზოგადოებაში თავს წამოყოფენ ბნელი სუბიექტები და საძრახისი ცხოველური ინსტინქტები. თუ რა მოსდევს ამას, ვარლამის ჭირვარამი მოწმობს, ხოლო უფრო გვიანდელ დროში, სახეცვლილი ვარლამის ვაჟი უფრო „რაფინირებულ“ ბოროტებას სჩადის და საბოლოოდ საკუთარი შვილის თვითმკვლელობის მიზეზი ხდება. უფრო საზარელი საზღაური წარმოუდგენელია. ამიტომ, ჩემი აზრით, ჭაბუკი თორნიკე თვითმკვლელობით იმდენად სულმოკლეობასა და მორალურ უმწეობას არ ავლენს, რამდენადაც ბაბუა-მამის ცოდვის სიმბოლურ ზვარაკად წარმოგვიდგება. ეს არის მოუნანიებელი ცოდვის თემა, უთავსავალ ერ ასახული მსოფლიო მწერლობასა და ხელოვნებაში, ოღონდ ფილმში მას თანამედროვეობის კვალობაზე სავსებით ახლებური ფუნქცია აქვს დაკისრებული.

ფილმი ნოველა-იგავების თავისებური კოლაჟია. იგი ცალკეული ნაწილებისაგან შედგება, სადაც რეალური და ირეალური წამოდაუწუმ ენაცვლება ერთმანეთს. ჩვენ ვხედავთ ადამიანებს, რომლებიც გარემოებისდამიხედვით იცვლებიან ანდა რჩებიან უცვლელად, რათა უკეთ დაგვანახონ, რომ ბოროტებასა და სიკეთეს სხვადასხვა დროში ერთი და იგივე მექანიზმი აქვთ, სიკეთეს კი მეტად ფაქიზი და სათუთი მართვა სჭირდება. თუ ძველ დროში ყველაფერი ნათელია და აშკარა — ვარლამ არავეიძე, უსაზღვრო ძალაუფლების წარმომადგენელი, მხოლოდ ვერდისა და შექსპირის ცოდნით ცდილობს შენიღბვას, თუმცა ამაოდ—მისი ვაჟი გაცილებით ძნელი გამოსაცნობია და სწორედ ამით არის განსაკუთრებით საშიში. ფილმი გვეუბნება, რომ ოდესღაც მომხდარი მოვლენები მექანიკურად თითქმის არ მეორდება, მაგრამ მით უფრო მეტი დაკვირვება გვმართებს, რათა სამართლიანობისა და კანონიერების ფენომენი არ მოირღვეს, წყალი არ შეუდგეს, მეშჩანების საასპარეზოდ არ იქცეს. ერთი მეცნიერის თქმისა არ იყოს, ისტორია თავშესაქცევი საკითხავი არ არის, იგი იმიტომ იქმნება და იწერება, რომ შთამომავლობას ჭკუის სასწავლებელ გაკვეთილად გამოადგეს. ასეთი გაკვეთილი კი მრავლად მოეპოვება კაცობრიობას. ვარლამ არავიძეები არსებობდნენ ძველ რომშიც, ფეოდალიზმის ეპოქაშიც, უფრო ახლო პერიოდშიც — მუსოლინებისა და ფიურერების ხანაშიც... ამ პიროვნებების აჩრდილი მტანჯველ ბალასტად აწვა სხვადასხვა ეპოქებსა და ხალხებს, ტირანიის გამოძახილი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული შეფერილობით წარმოგვიდგებოდა. მაგრამ „ვარლამიზმი“, როგორც კომპლექსური პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური მოვლენა, იმის გამო, რომ მაჯლაჯნასავით აწვა პრაქტიკულად მთელ კაცობრიობას მისი არსებობის მანძილზე, ნაკლებ ბოროტებად არ ქცეულა. მისი შორეული ექო ცხადად იგრძნობა ამჟამინდელ ტირანულ რეჟიმებში, რომლებიც ჩვენს განათლებულ საუკუნეში ფიზიკურად სპობენ ან სულიერად ასაჭურისებენ ადამიანებს, კლავენ ყოველგვარ საღ აზრს და რეჟიმის საწინააღმდეგო ნებისმიერ მოქმედებას განიხილავენ როგორც მომავალ ნებელ ცოდვას: მაგალითისათვის თუნდაც პინოჩეტის სულისშემხუთავი რეჟიმი იკმარებდა.

ალაგ-ალაგ დღემდე მოარული აზრის მიხედვით, „მაშინ სხვა დრო იყო“ და იგი მიზეზთა და მიზეზთა გამო მოითხოვდა მსხვერპლს, რომლის თანამონაწილენი თითქოს უნებურად ხდებოდნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებიც. მაგრამ ერთია ობიექტური ისტორიული აუცილებლობა, ხოლო სულ სხვაა ტირანული ძალადობა და განუკითხაობა, როცა ისჯება საზოგადოების საუკეთესო ნაწილი. ამიტომ ფორმულა „მაშინ სხვა დრო იყო“ მოგონილია იმათ მიერ, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ ბოროტებას ემხრობა ან ამართლებს. ამ უმართებულო, ძირშივე მცდარ თვალსაზრისსაც დაუნდობლად ებრძვის ფილმი, რომელიც შესაფერი მოქალაქეობრივი პათოსით მიუჩენს ადგილს ბოროტსა და კეთილს, მართებულსა და უმართებულოს, ზნეობრივსა და უზნეოს.

„მონანიება“ მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოებია, რომელიც იშვიათი პოეტური სტილისტიკით გამოირჩევა. ოღონდ, ფორმალისტური ფილმებისაგან განსხვავებით, სადაც ეს ელემენტი გაბატონებულია სათქმელის საზიანოდაც კი, თენგიზ აბულაძის ნამუშევარში რეჟისორული და ოპერატორული მიგნებები სურათის ორგანული ნაწილია. ეს არის სწორედ ნიჭიერი რეჟისორის შემოქმედებითი ნაშეფიფსა და მაღალი მოქალაქეობრიობის მაჩვენებელი.

ამ ფილმში მსახიობები **არ თამაშობენ**; მათ მაქსიმალურად აქვთ გაცნობიერებული ფილმის ზეამოცანა. ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებენ, მათივე შინაგანი ცოდნიდან და კარგად გახსნილი პოტენციური შესაძლებლობებიდან მომდინარეობს. ზომიერი პათოსი მხოლოდ ხაზს უსვამს სისადავეს, იმ უბრალოებას და არა გაუბრალოებას, რომელიც დამდგმელთა და მსახიობთა შეთანხმებული, სინქრონული მუშაობით მიიღწევა. „მონანიებაზე“ უთუოდ ბევრი ითქმება და დაიწერება მომავალში. ასეთი ფილმი თვით მაღალნიჭიერებით აღბეჭდილ ქართულ კინემატოგრაფშიც კი იშვიათად იქმნება. მას ხშირად მივუბრუნდებით, რადგანაც იგი არის **საჭირო** ფილმი, აუცილებელიც კი, ვინაიდან „მონანიება“ ბევრ რამეზე თუკი არ იძლევა ამომწურავ პასუხს, ყოველ შემთხვევაში, გვაიძულებს სერიოზულად დავფიქრდეთ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებისა და ყოფისათვის.

არჩილ გოგელია.

ფილმ „მონანიების“ კადრები: ზემოდან — ნინო ბარათელი — მსახიობი ქეთევან აბულაძე, ქეთევან ბარათელი — ნატო ოჩიგავა; სანდრო ბარათელი — მსახიობი ედიშერ გოიერგობიანი; მიხეილ კორიშელი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი კახი კავსაძე.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ბ. ᲒᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲐ

4 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ეისწავლოთ ლენინისაგან“. 10.05 — მ. ბორკი — ფილმ-სპექტაკლი „კლიბ სამგინის ცხოვრება“. 13.05 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — სოციალისტური ქვეყნების დოკუმენტური ფილმები. 16.25 — მ. სვეტლოვის პოეზია. 17.20 — რუსული მეტყველება. 17.50 — უკრავს კამერული ანსამბლი „კონცერტინო“. 18.20 — რატომ და რისთვის. 18.50 — მულტფილმი. 19.10 — დოკუმენტური ფილმი „იუნესკო: თანამშრომლობის 40 წელი“. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — „სიფხიზლე ცხოვრების ნორმა უნდა გახდეს“. 20.10 — მხატვრული ფილმი „უჭკნობი ფურცლები ისტორიისა“. „ოქტომბრის დღეებში“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „სიმღერა-86“. 0.20 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.35 და 10.35 — გარეშოს სამყაროს გაცნობა. პირველი კლასი. 9.55, 10.55 და 11.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 10.05 და 13.35 — ფრანგული ენა. 11.05 — საჭადრაკო სკოლა. 12.05 — ს. ვ. რახმანინოვი. ცხოვრება და შემოქმედება. 13.05 — ეკრანი — მასწავლებელს. გეოგრაფია. მეშვიდე კლასი. 14.05 — მეცნიერება და ცხოვრება. 14.50 — საბჭოთა მწერლები ვ. ი. ლენინის შესახებ. 15.45 — ისწავლე და გააკეთე. 16.15 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — რიტმული ტანვარჯიში. 19.50 — ჯანმრთელობა. 20.35 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 20.50— კალათბურთი. თასების მფლობელთა თასი. ვაჟები. (სსკა-უნგრეთის „ბაიია“. 21.30 — ყველასათვის და თითოეულისათვის. ყოფაცხოვრებაში სათბობისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობა შესახებ. 22.00 — „